გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ფლობს

ვერსია

№14 (1704) 29 მაისი — 4 ივნისი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

როდის, რატომ და რა მიზნით შეიქმნა ევროკავშირი

ოთხი პრინციპი, რომელსაც გაერთიანება ეფუძნება

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონი“ — დაძლეული ვეტო და სალომე ზურაბიშვილის სარეფერენდუმო ინიციატივა

პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია. ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილ და სალომე ზურაბიშვილის მიერ ვეტოდადებულ პროექტს 84 ხმით დაუჭირეს მხარი.

ცნობისთვის: „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი პრეზიდენტს ხელმოსაწერად კიდევ ერთხელ გაეგზავნება. კანონი პრეზიდენტს სამი დღის ვადაში უნდა გადაეცეს, რომელსაც ხელმოსაწერად 5-დღიანი ვადა აქვს. თუ სალომე ზურაბიშვილი კანონს დადგენილ ვადაში კვლავ არ მოაწერს ხელს, მას 5 დღის ვადაში ხელს მოაწერს და გამოაქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის წინ შეკრებილ მომიტინგეებს ვიდეოჩართვით მიმართა და განაცხადა:

„ხელმოწერები უნდა მოაგროვოთ და მოიტანოთ ჩემთან... მოვაწერ ხელს რეფერენდუმზე. გვინდა ევროპული მომავალი, თუ გვინდა რუსული მონობა“.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გორში აღნიშნა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ერთიანი საზეიმო ღონისძიების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოქალაქეებს გორში უმასპინძლა.

ღონისძიებაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ ლევან ხარაბაძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მიერ მოწყობილი სივრცეები დაათვალიერა.

ღონისძიების ფარგლებში, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის თემატიკაზე შექმნილ ისტორიულ ინსტალაციებთან ერთად, სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი, ასევე, სხვადასხვა დანაყოფის მიერ წარმოდგენილი სპეცტექნიკა და აღჭურვილობა დაეთვალიერებინათ. ბავშვებისთვის კი არაერთი საინფორმაციო-შემეცნებითი და გასართობი სივრცეები მოეწყო.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მიერ შიდა ქართლის მხარეში მცხოვრები მოქალაქეები დაჯილდოვდნენ, რომლებმაც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს და სხვა ადამიანების სიცოცხლე გადაარჩინეს.

17:10 საათზე, ზუსტად იმ დროს, როდესაც 1918 წელს, ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გაჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაშველო ოპერაციებისთვის განკუთვნილი მეორე ახალი ევროპული ტიპის H 145 გადმოეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას რიგით მეორე H 145 ვერტმფრენი შეემატა. მისი ოფიციალური გადმოცემა გერმანიაში, Airbus Hellicopters-ის საწარმოში მოხდა. ვერტმფრენი აღჭურვილია სამაშველო საშუალებებით და ასევე, გამორჩეულია სიმაღლეზე ოპერირების შესაძლებლობით. ახალი ბორტი სრულად დაკომპლექტებულია ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით.

აღსანიშნავია, რომ ახალი, ევროპული ტიპის H 145 ვერტმფრენის საქართველოში ტრანსპორტირება ქართული ეკიპაჟის მიერ განხორციელდა, რომელთაც სრული გადამზადება გერმანიაში, Airbus Hellicopters-ის სასწავლო აკადემიაში გაიარეს.

2022 წლის 19 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ფრანგულ კომპანია Airbus Hellicopters-თან, სამი H145 ვერტმფრენის შეძენასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება გაფორმდა. მესამე ბორტის გადმოცემა ქართული მხარისთვის 2024 წლის ივნისამდე იგეგმება.

ვახტანგ გომელაურმა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი წარადგინა

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საბჭოს აპარატის თანამშრომლებს აპარატის ახალი უფროსი, ლევან ღირსიაშვილი წარუდგინა და მას ახალ თანამდებობაზე წარმატებები უსურვა. შეხვედრაზე საბჭოს აპარატის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოში მიმდინარე მოვლენები და არსებული ვითარება მიმოიხილეს და სამომავლო ნაბიჯებზე იმსჯელეს.

ლევან ღირსიაშვილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის ბრძანებით დაინიშნა.

ლევან ღირსიაშვილი 2022 წლის აგვისტოდან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველი იყო. 2019 – 2022 წლებში იგი იკავებდა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობას. 2018 წლიდან 2019 წლამდე, ლევან ღირსიაშვილი იყო გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი, ხოლო 2015-2017 წლებში – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მოადგილე.

სამეგრელოს პოლიციამ ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული გ.შ., ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მეუღლეს – 1966 წელს დაბადებულ ფ.კ.-ს, ბლაგვი საგნის გამოყენებით, თავის არეში დაზიანებები მიაყენა, დაშავებული ქალი სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული გ.შ. ცხელ კვალზე დააკავეს.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

როდის, რატომ და რა მიზნით შეიქმნა ევროკავშირი

ნინო დოლიძე

საქართველო ევროკავშირთან ისე ახლოს, როგორც ახლაა, არასოდეს ყოფილა. მართალია, ჩვენ, ქართველები, მაშასადამე, ევროპელები ვართ, მაგრამ პოსტსაბჭოთა წარსული მაინც თვისას შვრება და რაღაცებში, როგორც ევროპელები, მოვიკოჭლებთ. ამიტომაც, მთელი ერი, ყოველ შემთხვევაში, ერის უდიდესი და ღირსეული ნაწილი იმ დღის გათენებაზე ოცნებობს, როცა ევროკავშირის წევრები ოფიციალურად გავხდებით. და მაინც, რა არის, როდის და რა მიზნით შეიქმნა ევროკავშირი? – „ვერსია“ ინტერნეტმასალებზე დაყრდნობით, გაერთიანების მოკლე ისტორიას გთვაზობთ.

ოთხი პრინციპი, რომელსაც გაერთიანება ეფუძნება

ევროკავშირი, თავისი არსით, უნიკალური და საინტერესო პოლიტიკური პროექტია, რომლის სათავე მეორე მსოფლიო ომით გაუბედურებულ ევროპაში უნდა ვეძებოთ. სწორედ ომმა, განადგურებულმა ინფრასტრუქტურამ და დაშლილმა სოციალურ-ეკონომიკურმა ერთობამ გააჩინა ევროპაში უნიკალური ეკონომიკური კავშირის შექმნის იდეა, რომლითაც, ჩანაფიქრის თანახმად, უნდა ესარგებლა ყველა იმ ქვეყანას, რომელიც გაერთიანების წევრი გახდებოდა.

ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია, 1993 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერით დაფუძნდა, მაგრამ გაერთიანების ისტორია, რეალურად, 1951 წელს იღებს სათავეს, როცა პარიზის ხელშეკრულების საფუძველზე, „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება“ შეიქმნა. იმ დროს, წამოწყებას ექვსი ქვეყანა შეუერთდა: ბელგია, საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები, მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, პროექტი იმდენად უნიკალური და, რაც მთავარია, ეკონომიკურად მოგებიანი აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წელიწადში, რომის ხელშეკრულების საფუძველზე, „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ დაფუძნდა.

რომის ხელშეკრულება, რეალურად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც კაცობრიობას ოდესმე შეუქმნია, რადგან სწორედ მას უნდა მივაწეროთ საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე შეთანხმება, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა.

საერთო ბაზარი კი, როგორც ცნობილია, საერთო სივრცეში არსებული ბარიერების გაუქმებას ითვალისწინებდა, როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე, კაპიტალისა და ადამიანების კუთხით. ეს დებულება კი, სწორედ ისაა, რის გამოც ევროკავშირი დღემდე მიმზიდველი და ეკონომიკურად გამართლებული პროექტია.

„ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ პირველი გაფართოება 1973 წელს შედგა, როცა ორგანიზაციას გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და დანია შეუერთდნენ. მას შემდეგ, გაფართოება დროებით შეწყდა, მაგრამ გაერთიანებამ განვითარება განაგრძო. 1985 წელს, მაგალითად, ხელი მოეწერა „შენგენის ხელშეკრულებას“, რომლითაც ქვეყნებს შორის ადამიანების მიმოსვლის ბარიერი მოიშალა. ერთი წლის შემდეგ, ხელი მიეწერა „ერთიან ევროპულ აქტს“, რომლითაც ევროპულმა პოლიტიკურმა თანამშრომლობამ ინსტიტუციური ხასიათი მიიღო. სწორედ იმ დროს ჩამოყალიბდა ევროპული საბჭო, შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო საპარლამენტო ასამბლეას ოფიციალურად ეწოდა ევროპული პარლამენტი.

აი, ასე მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ საერთო ბაზრის საბოლოო იდეას. საერთო ბაზარი კი ევროკავშირის დედააზრია და ის „ოთხ თავისუფლებას“ ეყრდნობა ანუ ადამიანების, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მიმოსვლას, რაც, თავის წილ, ქვეყნებს შორის ბარიერების არარსებობას მოითხოვს.

მარტივად რომ ვთქვათ, სწორედ „ოთხი თავისუფლების“ დამსახურებაა ის, რომ დღეს, შეიძლება ადამიანი ბულგარელი იყოს, მაგრამ ესპანეთში ცხოვრობდეს,

დასასრული მე-4 გვერდზე

როდის, რატომ და რა მიზნით შეიქმნა ევროკავშირი

მე-3 გვერდიდან

ფრანგულ კომპანიაში მუშაობდეს და ხელფასი გერმანულ ბანკში ერიცხებოდეს.

მოკლედ, ასე მივიდა EU 1992 წლამდე, როცა ხელი მოეწერა „მაასტრიხტის ხელშეკრულებას“, რომლითაც 1993 წელს, ევროკავშირი დაფუძნდა.

იმ დროს, ორგანიზაციაში თორმეტი ქვეყანა იყო გაერთიანებული, რადგან თავდაპირველ ცხრა წევრს საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთი შეუერთდნენ. ამ დროს, ცხადია, გერმანიაც უკვე გაერთიანებული იყო.

ზემოხსენებული ქვეყნების ინიციატივით, 1993 წელსვე შეიქმნა საერთო ვალუტა – ევრო, რომლის შემოღების შემდეგ, იმდროინდელი 12 წევრიდან 11-მა ეროვნული მონეტარული პოლიტიკის განკარგვის უფლება ნებაყოფლობით დათმო.

ევროს, თავდაპირველად, არავინ იყენებდა და რეალურ ვალუტად ის მხოლოდ 2002 წელს გადაიქცა, როცა მიმოქცევაში ბანკნოტები და მონეტები ჩაეშვა. ერთი ქვეყანა, რომელმაც ევროზონაში გაერთიანებაზე უარი თქვა – დანიაა, სადაც დღემდე დანიურ კრონას იყენებენ.

ერთიანი ვალუტის გარდა, ევროკავშირში ერთი პერიოდი სერიოზულად განიხილავდნენ საერთო ევროპული ენის იდეასაც. ესპერანტო – ასე ერქვა ჯერ კიდევ 1887 წელს შექმნილ ენას, რომლითაც პანევროპულ დონეზე კომუნიკაცია უნდა შემდგარიყო, მაგრამ ამ იდეამ ფეხი არ მოიკიდა, რადგან ევროკავშირის წევრებს საკუთარი ენების გამოყენება ერჩივნათ. მიუხედავად ამისა, დღეს, ევროკავშირს სამი ძირითადი ენა აქვს – ინგლისური, ფრანგული და გერმანული.

რაც შეეხება სტატისტიკას, დღეს, ევროკავშირში 27 წევრი სახელმწიფოა. ქვეყნებს კი, როგორც წესი, ევროკავშირში გაერთიანება სურთ და არა მისი დატოვება, რის გამოც მომლოდინეთა სია საკმაოდ გრძელია, რომელშიც საქართველოსაც ვხვდებით, თუმცა მიუხედავად ამისა, ევროკავშირის დატოვების პრეცედენტიც ახსოვს კაცობრიობას, როცა 2020 წელს, ორგანიზაცია გაერთიანებულმა სამეფომ დატოვა.

დღეს, ევროკავშირში 450 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც ოთხი მილიონ 400 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობის მიწაზე ცხოვრობენ.

ეს ადამიანები 17 ტრილიონ 800 მილიარდი დოლარის მოცულობის ეკონომიკას ქმნიან, რომელშიც ერთ სულ მოსახლეზე, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, დაახლოებით, 40 ათასი დოლარის ტოლია.

ამავდროულად, ევროკავშირში ფიქსირდება უმუშევრობის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი, რომელიც 6.9%-ს შეადგენს.

ამასთან, ევროკავშირი ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა გლობალურ სავაჭრო რუკაზე, რომელზედაც გლობალური ვაჭრობის 15% მოდის.

ამ 15%-ში, საქართველოც შედის, რომლისთვისაც ევროკავშირი მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რომელზედაც საქართველოს საგარეო ვაჭრობის თითქმის 21% მოდის – ეს 2023 წლის პირველი ათი თვის მონაცემებით.

ისე კი, მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ამოქმედდა, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 50%-ით მოიმატა და 2022 წელს, სამი მილიარდ 900 მილიონი დოლარი შეადგინა.

საერთო ჯამში, 2016-დან 2022 წლამდე, ევროკავშირში ქართული პროდუქციის ექსპორტმა 56%-ით იმატა.

გარდა ბილატერალური დახმარებებისა, საქართველო ევროკავშირისგან მაკროფინანსურ დახმარებასაც იღებს, რაც გრანტებსა და შეღავათიან სესხებს მოიცავს. ამასთან, პანდემიასთან გასამკლავებლად, საქართველომ ევროკავშირისგან დამატებით 250 მილიონი ევრო მიიღო. თუმცა, ამ ყველაფრის ფონზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოსთვის ევროკავშირი გაცილებით მეტია, ვიდრე მრავალმილიონიანი ფინანსური დახმარება, თავისუფალი ვაჭრობა ან უვიზო დასვენება. საქართველოსთვის, ევროკავშირი დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, უკეთეს ცხოვრებას, მშვიდ და ნათელ მომავალს ნიშნავს.

ნაკლები ბავშვი, მეტი მოხუცი

2023 წელს, 5%-ით ნაკლები ბავშვი დაიბადა საქართველოში, ვიდრე 2022 წელს. სხვაგვარად, შარშან 2 ათასზე მეტით შემცირდა ახალშობილების რაოდენობა და წელიწადში 42 214 ბავშვის დაბადებით, შობადობა ისტორიულად დაბალ ნიშნულზე ჩავიდა.

საქართველოს საგანგაშო დემოგრაფიული პორტრეტი

ასეთი ხანგრძლივი „დამრეცი ღერძი“ შობადობის გრაფიკზე საქართველოში 1994 წლის შემდეგ არ ყოფილა.

შობადობის მაჩვენებელი ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომია – როდესაც შობადობა იკლებს, ქვეყნები წუხან, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ შეიძლება შემოაკლდეთ ჯანმრთელი, ახალგაზრდა მოქალაქეები, შემცირდეს ეკონომიკა და შეფერხდეს განვითარება.

მეორე მხრივ, ძალიან მაღალი შობადობის მაჩვენებელიც რესურსების გამოფიტვის საფრთხეს ქმნის და შეიძლება იყოს იმის მანიშნებელი, რომ არსებობს პრობლემები ქალების სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობის, ოჯახის დაგეგმვისა თუ ადრეული ქორწინების კუთხით. შობადობის ოპტიმალურ მაჩვენებლად ითვლება 2.1, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი ერთი ქალი, საშუალოდ, ორ ბავშვს აჩენს, ეს პოპულაციის განახლებასა და სტაბილური დემოგრაფიული სურათის შენარჩუნებას უზრუნველჰყოფს.

საქართველოში შობადობის მაჩვენებელი, ბოლო მონაცემებით, ორზე ნაკლებია, თუმცა ეს არ არის ის მონაცემი, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა – საქართველოში მნიშვნელოვნად არის შემცირებული შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, რომელიც 2014 წლის შემდეგ, 16.3 %-დან 11.4%-მდე ჩამოვიდა. ესაა მონაცემი, რომელიც ითვლის ახალშობილების შეფარდებას მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან.

მცირედით შეცვლილი შობადობის მაჩვენებელი და მკვეთრად შეცვლილი შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, დიდი ალბათობით, იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოში განსაკუთრებით სწრაფად მცირდება რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობა.

„ბავშვობიდან არ მომწონდა დედის როლი და არასდროს არ მდომებია შვილის გაჩენა. თავიდან თუ ეს უფრო ემოციური ამბავი იყო, სადღაც, 30 წლისამ, უკვე მყარად გადავწყვიტე, რომ ნამდვილად არ მინდოდა დედობა.

არ მესმის, რატომ უნდა გააჩინო ბავშვი, რომელსაც ვერ მისცემ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას, განათლებისა და ჯანდაცვის სერვისების მიღების გარანტიას. რატომ უნდა გაწირო ადამიანი ამ ყველაფრისთვის. ამ ქვეყნის ყოველდღიურობის ნაწილია გაურკვეველი მომავალი – ისეთ რეგიონში ვართ, არასდროს არ იცი, რა მოხდება. შეიძლება გავგიჟებულიყავი, ახლა რომ პატარა შვილი მყავდეს“, – ეუბნება რადიო „თავისუფლებას“ 37 წლის მარიამი, რომელიც თითქმის 15 წელია, დაქორწინებულია.

მიზეზები, რის გამოც მარიამს შვილი არ უნდა, ბევრია.

პერსონალური: თავისუფლების დაკარგვის შიში, დამატებითი პასუხისმგებლობების აღების სიფრთხილე, სხეულის ავტონომიურობა და ცხოვრების ის სტილი, რომლის შეცვლაც არ უნდა.

გარე ფაქტორები: გლობალური დათბობა, ეკოლოგიური დაბინძურება, არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა.

„როცა ისიც კი არ ვიცით, 30 წელიწადში სასმელი წყალი გვექნება თუ არა და ეს პლანეტა მაინცდამაინც კარგ მდგომარეობაში არ არის, ცოტა უპასუხისმგებლობა მგონია ახალი სიცოცხლის მოყვანა ამქვეყნად, ამ ბუნდოვანი მომავლის გამო. რაც შეეხება ჩვენს სამშობლოს, საქართველოს, იმდენი მიზეზია იმისთვის, რომ ბავშვი არ გააჩინო, არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. დაბინძურებული ჰაერი, დაბინძურებული გარემო, საკვები, არაფერი არ კონტროლდება, ყველაფერი გამოტენილია ტოქსინებით და ამ ყველაფრის გამო, ონკოლოგიური დაავადებების ეპიდემიაა. ჯანდაცვის სისტემა არ გვაქვს ამ ქვეყანაში, განათლებაც მნიშვნელოვანია – თუ არ გაქვს ძალიან ბევრი ფული, იმდენი, რამდენი ფულიც ჩვენს მინისტრებსა და პარლამენტარებს აქვთ, ვერ წაიყვან შვილს ნორმალურ სკოლაში და ვერ მისცემ კარგ განათლებას“, – ამბობს მარიამი.

მარიამი და ის ქალები, რომლებიც შეგნებულად არ აჩენენ შვილებს, სტატისტიკაში არ ხვდებიან, თუმცა სხვა ქალების მონაცემები, რომლებიც დედობის გზას ირჩევენ, აჩვენებს, რომ სულ უფრო მეტი და მეტი ქალი უფრთხის, როგორც პირველი, ისე – მეორე შვილის გაჩენას.

2014 წლიდან, მკვეთრად შემცირებულია, როგორც პირველი, ასევე – მეორე შვილის გაჩენის შემთხვევები. 2023 წელს – 11 194-ით ნაკლები პირველი და 9 647-ით ნაკლები მეორე შვილი გაჩნდა საქართველოში. პარალელურად, იზრდება იმ წყვილების რაოდენობა, რომლებიც მეოთხე და მეხუთე შვილის გაჩენის გადაწყვეტილებას იღებენ. შემცირებულია ქორწინებების რიცხვიც.

„რადიო თავისუფლება“

რა ქონებას ფლობს ანრი ოხანაშვილი

მაკა რუხაძე

ეგრეთ წოდებული უცხოეთის აგენტების შესახებ „გამჭვირვალობის კანონის“ პარლამენტში ერთ-ერთი ინიციატორი, სწორედ ანრი ოხანაშვილია. რა თქმა უნდა, მასაც, როგორც ამ კანონპროექტის მხარდამჭერ დეპუტატებსაც საზოგადოების ერთი ნაწილი სამშობლოს გამყიდველებს, მოღალატეებს და რუსული კანონის ინიციატორებს უწოდებს. მართალია, ამ კანონპროექტის გარეშეც შეიძლებოდა უცხოეთის აგენტების გამოვლენა, მაგრამ კანონპროექტს არაფერი საერთო არ აქვს რუსულთან. მოკლედ, ქვეყანაში ვითარება დაძაბულია, რაც ისედაც მოსალოდნელი იყო – 2024 ანუ არჩევნების წელია და ფაქტია, პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა კულმინაციამდე არა, მაგრამ საგრძნობლად გაზრდილია. ჰოდა, ურიგო არ იქნება, ანრი ოხანაშვილის ქონებრივი დეკლარაცია განვიხილოთ, ოღონდ მანამდე, ბიოგრაფიას გადავხედოთ.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ქონებრივი დეკლარაცია

დეპუტატის ბიოგრაფია

ანრი ოხანაშვილი იურისტი, მეცნიერი და პოლიტიკოსი. დაიბადა 1985 წლის 10 ივნისს, ქალაქ თბილისში.

2008 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის მაგისტრის ხარისხით; 2010 წელს – ქალაქ იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი – სისხლის სამართლის მიმართულებით და მაგისტრის ხარისხით; 2012 წლიდან დოქტორანტია ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

2007-2008 წწ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სპეციალისტად; 2008 წელს – ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტად; 2008-2009 წწ – ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული გერმანულ-ქართული სამეცნიერო პროექტის მეცნიერ-თანამშრომელია სისხლის სამართალში; 2008-2010 წწ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსია; 2010-2012 წწ – იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორია სისხლის სამართლის მიმართულებით; 2010 წელს – ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული გერმანულ-ქართული სამეცნიერო პროექტის მეცნიერ-თანამშრომელია სისხლის სამართალში; 2011 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანაშემწეა; 2011-2012 წწ – ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილეა; 2012-2016 წწ – იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი სისხლის სამართლის მიმართულებით; 2012-2013 წწ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის განყოფილების გამგის მოადგილეა; 2015-2017 წწ – საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის პროექტის ფარგლებში არსებული „ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალის“ მთავარი რედაქტორია; 2016-2017 წწ – საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსია; 2017-2020 წწ – საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრია საარჩევნო ბლოკიდან – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“; 2020 წლიდან – საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრია საარჩევნო ბლოკიდან – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

2020 წლიდან, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორია.

ანრი ოხანაშვილის დეკლარაცია

ქონებრივი დეკლარაცია დეპუტატმა 2024 წლის29 იანვარს შეავსო, საიდანაც ვიგებთ რომ ჰყავს მეუღლე – მაკა ხოდელი და სამი შვილი – მარიამი, ანა და ნუცა.

მაკა ხოდელის 100%-იან საკუთრებაშია 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი თბილისში, გრიგოლ ფერაძის პირველი ჩიხის #16-ში. დეკლარაციაში მითითებულია, რომ მიწის ეს ნაკვეთი დეპუტატის მეუღლეს 2018 წელს აჩუქეს.

2019 წელს, მსუბუქი ავტომობილის გასხვისებიდან 9 500 აშშ დოლარი მიუღია, 2002 წლის დანაზოგი შემოსავლიდან – 4 000 ევრო, ხოლო მაკა ხოდელის მიერ, ვადიანი ანაბრიდან გამოტანილი თანხის ოდენობა 4 170.5 ევროა.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ანრი ოხანაშვილის, როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის წლიური შემოსავალია 53 449.92 ლარი, რომელშიც გათვალისწინებულია საპენსიო დაგროვებაც – 1 329.60 ლარი, ხოლო მისი, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტის და ასოცირებული პროფესორის წლიური შემოსავალი 7 017.95 ლარია.

მაკა ხოდელის, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის წლიური შემოსავალია 13 665.71 ლარი, რასაც 2023 წლის 14 ნოემბრიდან, ამავე შემოსავალში დაემატა თსუ იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის სახელფასო ანაზღაურება. ამ შემოსავალში გათვალისწინებულია საპენსიო დაგროვებაც – 339.94 ლარი.

მაკა ხოდელის, როგორც შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა სამართლის ასოცირებული პროფესორის წლიური შემოსავალი 3 577.8 ლარი. დეპუტატის მეუღლე საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის – IRZ სისხლის სამართლის ქართულ-გერმანული ელექტრონული ლექსიკონის პროექტში მონაწილეობდამ სადაც ანაზღაურების სახით – 100 ევრო მიიღო, ამავე ფონდის ჟურნალისთვის სტატიის თარგმანში – 56 ევრო, ხოლო ამ ფონდის ჟურნალის საორგანიზაციო საკითხებში – 367 ევრო.

დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მაკა ხოდელს აქვს ვადიანი ანაბარი ლიბერთი ბანკში – 4 169.6 ევროს ოდენობით.

საერთაშორისო სამეცნიერო სამართლებრივი ფონდიდან – IRZ, ანრი ოხანაშვილს სამეცნიერო ჰონორარის სახით, 1 000 ევრო მიუღია, მის მეუღლეს კი თსუ-დან, სამეცნიერო მივლინების ჰონორარის სახით – 3 551 ლარი.

სამივე შვილის სწავლის საფასური დეპუტატს, დაახლოებით, 20 000 ლარამდე უჯდება.

ფინანსური დარღვევები „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში“

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

მთავრობის, პარლამენტის და სხადასხვა საჯარო უწყების აუდიტის გარდა, საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს სახელმწიფო უწყებების ქოლგას შეფარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) და შეზღუდული პასუხისმგებლოუს საზოგადოებების (შპს) აუდიტები. სახელმწიფო სსიპ-ებსა და შპს-ებს ხატოვნად ბიუჯეტის ხორცმეტებსაც უწოდებენ და არც თუ ისე უსაფუძვლოდ. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ვერსია“ ამჯერად შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ 2022 წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტს გთავაზობთ, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, როგორც ერთადერთი ლიცენზირებული სუბიექტი, უზრუნველჰყოფს ბუნებრივი გაზის შეუფერხებელ, უწყვეტ, უსაფრთხო ტრანსპორტირებას და მაგისტრალური გაზსადენების გამართულ ფუნქციონირებას. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ხორციელდება საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მომხმარებლებისათვის, სამრეწველო და ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტებისთვის და ტრანზიტული დანიშნულებით – ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. კომპანია უზრუნველჰყოფს მთავრობის მიერ დამტკიცებული გაზიფიცირების გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, დასახლებულ პუნქტებში გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. კომპანიის შემოსავლის მთავარი წყაროა გაზის ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის მომსახურების გაწევიდან მიღებული სარგებელი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის – სემეკი მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად. კომპანიის საქმიანობიდან მიღებულმა ამონაგებმა 2022 წელს შეადგინა 114 087 000 ლარი, ხოლო წმინდა მოგებამ – 35 918 000 ლარი. აუდიტის შედეგად, გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა, თუმცა ვიდრე ხარვეზებს გაგაცნობთ, ჯერ „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ შესახებ, ზოგად ინფორმაციას გავეცნოთ.

გაზის ტრანსპორტირების კომპანიის შესახებ

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრესთან (სს „საქართველოს ნავთობისა და გაზისკორპორაციის“ შვილობილი კომპანია), გაფორმებული მაგისტრალური გაზსადენის დამასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ოპერირებას უწევს ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელს. კერძოდ, გაზსადენებს საერთო სიგრძით – 1 967 კმ; 400-მდე გაზის გამანაწილებელ სადგურს, შენობებსა და ნაგებობებს.

ამ მაგისტრალური გაზსადენებით წარმოებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მომხმარებლებისათვის, სამრეწველო და ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტებისთვის და ასევე ხორციელდება გაზის ტრანზიტი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით.

საქართველოს მასშტაბით, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი რეგულირდება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ და ეფუძნება წინა პერიოდებში ხარჯების, შემოსავლებისა და განხორციელებული/დაგეგმილი ინვესტიციების ანალიზს. აღნიშნული ტარიფი 2020-2022 წლებისთვის განსაზღვრული იყო 18.95 ლარით, ყოველ ტრანსპორტირებულ, 1 000 კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზზე.

კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია, ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მოსახლეობის გაზით მომარაგების ხელშეწყობის ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, გაზსადენის ქსელის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. დასრულებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, საბოლოოდ ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“.

დარღვევები ბუნებრივი გაზის ხარისხის მონიტორინგში

ბუნებრივი გაზის ქსელის წესების მიხედვით, ტრანსპორტირების ლიცენზიანტმა უნდა განახორციელოს ბუნებრივი გაზის ხარისხის და შემადგენლობის მონიტორინგი მეზობელი ქვეყნის ტრანსპორტირების სისტემიდან მიღების თითოეულ პუნქტში, ტრანსპორტირების სისტემის თითოეულ შერევის წერტილსა და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელსაც ტრანსპორტირების ლიცენზიანტი საჭიროდ ჩათვლის.

„ბუნებრივ გაზში ენერგიის შემცველობის გაანგარიშების ძირითადი პარამეტრია მთლიანი თბოუნარიანობა, რომელიც განისაზღვრება ბუნებრივი გაზის ქიმიური შემადგენლობის ანალიზის შედეგად, დადგენილი ქიმიური პარამეტრების გათვალისწინებით. ტრანსპორტირების ლიცენზიანტმა საკუთარ ვებგვერდზე ყოველდღიურად უნდა გამოაქვეყნოს მთლიანი და წმინდა თბოუნარიანობის საშუალო დღიური მნიშვნელობები ხარისხის გაზომვის თითოეულწერტილისთვის, სულ მცირე – ბოლო 12 თვისთვის.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ბუნებრივი გაზის ხარისხობრივი მახასიათებლების მონიტორინგის ნაკლოვანება. კერძოდ, კომპანიაში შესაბამისი ინტენსივობით ხორციელდება ანალიზები ბუნებრივი გაზის პარამეტრების დასადგენად, როგორებიცაა, თბოუნარიანობა, სიმკვრივე და სხვა. თუმცა, არ ხორციელდება ბუნებრივი გაზის ქვემოთ ჩამოთვლილი ხარისხობრივი მახასიათებლების მონიტორინგი და განსაზღვრა, რადგან კომპანია არ ფლობდა აღნიშნული პარამეტრების დასადგენად საჭირო მოწყობილობებს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გაზში აღნიშნული ქიმიური ელემენტების დადგენილ პარამეტრებზე მეტი მოცულობით არსებობა იწვევს გაზის მილების, მონიტორინგის სისტემისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის დაზიანებას, უარყოფით გავლენას ახდენს გაზის ხარისხზე, გარემოსდაცვით უსაფრთხოებაზე და წარმოშობს დამატებით ხარჯებს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია უცხო ქვეყნებიდან ტრანსპორტირებული გაზის ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ; მნიშვნელოვანია კომპანიამ სრულყოფილად აწარმოოს სათანადო ანალიზი, რეალურად მოწოდებული გაზის ხარისხისა და შემადგენლობის დასადგენად. მიღებული განმარტებით, შეძენილია შესაბამისი დანადგარები, რაც შესაძლებლობას მისცემს კომპანიას, შემდგომ პერიოდში განახორციელოს გაზის ხარისხის სრულყოფილი მონიტორინგი.

აქედან გამომდინარე, აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ კომპანიის მიერ ბუნებრივი გაზის ხარისხის გაზომვის პროცედურები არ არის სრულად შესაბამისობაში ქსელის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან, რაც კომპანიის მიერ ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის ხარისხის დაცვის, გაზსადენი მილებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკებს წარმოშობს.

ბუნებრივი გაზის აღრიცხვის სისტემა

ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძის დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და კონტროლი ევალება ტრანსპორტირების ლიცენზიანტს, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს გაზომვის მონაცემების აღება, შეგროვება და დადასტურება გაზის აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის საშუალებით.

„ტრანსპორტირების ლიცენზიანტს უფლება აქვს განახორციელოს აღრიცხვის კვანძის გეგმური და საკონტროლო შემოწმება მისი სტრუქტურული გამართულობისა (ვიზუალურად) ან/და გაზომვის მოწყობილობების სწორად ფუნქციონირების შემოწმების მიზნით.

დასასრული მე-8 გვერდზე

ფინანსური დარღვევები „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში“

მე-7 გვერდიდან

აღრიცხვის კვანძის გეგმური შემოწმება და გამზომი მოწყობილობების კალიბრაცია უნდა განხორციელდეს ახალი აღრიცხვის კვანძის ექსპლუატაციაში მიღებისას და არსებულ აღრიცხვის კვანძებზე ისეთი ცვლილების განხორციელებისას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს გაზის აღრიცხვის სიზუსტეზე.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სრულყოფილად არ ხდება გაზომვის მოწყობილობების მონაცემთა ბაზის მართვა, რაც გამოიხატება შემდეგში: გაზომვის მოწყობილობების მონაცემთა ბაზის პროგრამა ვერ უზრუნველყოფს ტურბინული და როტაციული ტიპის მრიცხველების სტანდარტიზაციის ვადის დადგომის ავტომატურ შეტყობინებას, რაც ქმნის აღრიცხვის კვანძების დაგვიანებით შემოწმების რისკებს, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის სწორად აღრიცხვაზე“.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ დიაფრაგმული მრიცხველების შემთხვევაში, შემოწმება ხორციელდებოდა დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ, კანონით დადგენილი ვადების გათვალისწინებით, ხოლო რაც შეეხება ტურბინული და როტაციული ტიპის მრიცხველებს, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში არ არის განხორციელებული მრიცხველების შემოწმება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ, ხოლო ხშირ შემთხვევებში, შესრულებულია დაგვიანებით.

„მაგალითად, შერჩეული მრიცხველებიდან 2023 წელს სტანდარტიზაცია რამდენიმე წლის დაგვიანებით ვერ გაიარა 8 მრიცხველმა და შესაბამისად, შეიცვალა სხვა მრიცხველებით. აქედან გამომდინარე, შესაძლოა არსებობდეს რისკები, რომ ტურბინული და როტაციული ტიპის მრიცხველების დაგვიანებით შემოწმების შედეგად ვერ მოხდეს ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის სწორად აღრიცხვა, რაც დაკავშირებულია ფინანსურ დანაკარგებთან“.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ არ არის უზრუნველყოფილი ტურბინული და როტაციული ტიპის მრიცხველების კანონის შესაბამისად დადგენილ ვადებში სრულად შემოწმება. აღნიშნული შესაძლოა ქმნიდეს ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის არასწორად აღრიცხვის რისკებს, რაც დაკავშირებულია ფინანსურ დანაკარგებთან.

ტრანსპორტის ხარჯები

საქართველოს მთავრობის დადგენილება არეგულირებს სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის მოთხოვნებს, ხოლო კომპანია, როგორც 100% სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო, ავტოპარკის მართვის დროს, ვალდებულია ამ დადგენილებით ხელმძღვანელობდეს.

„2022 წელს, კომპანიას სულ ერიცხებოდა 157 სატრანსპორტო საშუალება, აქედან: განპიროვნებული – 16; სამორიგეო – 18; სპეციალიზებული – 119; თხოვების ხელშეკრულებით – 2; არაკლასიფიცირებული – 2. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები: განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე თანამდებობის პირების შვებულებაში ან საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნის პერიოდში, განპიროვნებული ავტომანქანა არყოფილა გაჩერებული და არც დოკუმენტურად დასაბუთებული საფუძვლით გადაცემული სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში დაწესებულების სხვა თანამშრომელზე, რაც წარმოადგენს არამართლზომიერ ხარჯს;

2022 წელს სამორიგეო ავტომობილებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 180 787 ლარი, აქედან, საწვავის ხარჯმა – 107 855 ლარი, საიდანაც 11 383 ლარი მოიცავდა მივლინებების დროს გაწეულ ხარჯს. დანარჩენი 96 472 ლარის საწვავის ხარჯვისას, სამორიგეო ავტომობილების გამოყენება არ ხდებოდა კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების შესაბამის თანამშრომელზე გამოყოფით, რის გამოც ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულებები, გამოიყენებოდა თუ არა სამორიგეო ავტომობილები სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად და მართლზომიერი იყო თუ არა სამორიგეო ავტომობილებზე გაწეული 96 472 ლარის საწვავის ხარჯი;

ორი თანამშრომლის ავტომობილზე საწვავის გაცემის მიზნით, კომპანიას გაფორმებული ჰქონდა თხოვების ხელშეკრულებები“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ კომპანია, როგორც 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო, ავტოპარკის მართვის დროს უნდა ხელმძღვანელობდეს საქართველოს მთავრობის დადგენილებებით დამტკიცებული სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესაბამისად. არადა, აუდიტის პერიოდში გამოვლინდა კომპანიის მიერ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსაბამობის გარკვეული შემთხვევები.

„კერძოდ, თანამდებობის პირების მივლინებისა და შვებულების დროს, მათზე განპიროვნებული ავტომობილის ექსპლუატაცია შესაბამისი დასაბუთების გარეშე, რაც წარმოადგენს არამართლზომიერ ხარჯს; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი მიზნებისთვის დაუსაბუთებლად გამოყენების შემთხვევები, რაც შესაძლოა მიუთითებდეს არამართლზომიერად გაწეულ ხარჯებზე; თანამშრომელთა კუთვნილი ავტომობილების თხოვება, შესაბამისი საჭიროების დასაბუთების გარეშე, რაც წარმოადგენს არამართლზომიერ ხარჯს“.

დარღვევები ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებაში

მომხმარებლისთვის ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის მიზნით, ტრანსპორტირების ლიცენზიანტსა და სისტემით მოსარგებლეს შორის გაფორმებული უნდა იყოს გაზის ტრანსპორტირების ხელშეკრულება, რომელიც სისტემით მოსარგებლეს ავალდებულებს, სრულად გადაიხადოს კომისიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი სატარიფო მეთოდოლოგიით გათვალისწინებული გადასახდელები.

„გაზის ტრანსპორტირების ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“ განაცხადის სტანდარტული ფორმა ითვალისწინებს სისტემით მოსარგებლის მიერ, ბუნებრივი გაზის შესყიდვის ხელშეკრულების ასლის წარმოდგენას, რაც ტრანსპორტირების ლიცენზიანტს ეხმარება შემდგომი წლისთვის გასატარებელი ბუნებრივი გაზის მოცულობის პროგნოზირებასა და ტრანსპორტირების სისტემის გამართულად ფუნქციონირებაში.

„აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შერჩეული 15 კომპანიიდან, ათ შემთხვევაში, კომპანიას გაფორმებული ჰქონდა ტრანსპორტირების ხელშეკრულებები სისტემით მოსარგებლე ისეთ კომპანიებთან, რომლებსაც არ ჰქონდათ წარმოდგენილი ბუნებრივი გაზის შესყიდვის ხელშეკრულება – სულ 59 467 781 ლარის ღირებულების, 2 644 635 772 კუბური მეტრი გაზის მოცულობაზე.

დანარჩენ შემთხვევებში, წარმოდგენილი ხელშეკრულებით განსაზღვრული გაზის მოცულობები არსებითად განსხვავდებოდა 2022 წელს შესაბამისი კომპანიებისთვის, ფაქტობრივად ტრანსპორტირებული გაზის მოცულობასთან“.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ტრანსპორტირების ხელშეკრულების გაფორმებისთვის განაცხადის სტანდარტული ფორმა ითვალისწინებდა სისტემით მოსარგებლის მიერ ბუნებრივი გაზის შესყიდვის ხელშეკრულების ასლის წარმოდგენას. ამავდროულად, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ტრანსპორტირების ხელშეკრულება ფორმდებოდა ბუნებრივი გაზის შესყიდვის ხელშეკრულების წარმოდგენის გარეშე, ხოლო სხვა შემთხვევებში ბუნებრივი გაზის შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაზის მოცულობა არ შეესაბამებოდა ფაქტობრივად ტრანსპორტირებული გაზის მოცულობას, რაც ხელს უშლის ტრანსპორტირების საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრას და წარმოშობს ხელშეკრულებასთან შეუსაბამო მოცულობების ტრანსპორტირების რისკებს.

„მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის პერიოდში, ამ ხარვეზს არ გამოუწვევია უარყოფითი შედეგი – მიუღებელი შემოსავლის სახით, კონტროლის მექანიზმის ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ტრანსპორტირების პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ასევე სავაჭრო პროცესის უწყვეტობისა და მიკვლევადობისთვის“.

სამართალი

№14 29 მაისი 2024 წ

„თავისი ნახმარი, ჭუჭყიანი საცვალი მაჩუქა... დამცინა“

ვინ არის ქალი, რომელიც თანაკლასელის მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს

ბათო ჯაფარიძე

იმ 11 წლის განმავლობაში, რომელსაც სკოლაში ვატარებდით, გამორიცხული იყო, ყველა თანაკლასელთან ძალიან ახლო ურთიერთობა გქონოდა. კი, თანაკლასელები იყვნენ მეგობრები, ერთად დადიოდნენ ექსკურსიებზე, ერთად იკრიბებოდნენ, როცა რომელიმეს დაბადების დღე ჰქონდა, მაგრამ ყველას ჰყავდა გამორჩეული მეგობარი, რომელთანაც ურთიერთობას სკოლის დასრულების შემდეგაც აგრძელებდა. არცთუ იშვიათად, დაქალები თუ ძმაკაცები, სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთსა და იმავე სასწავლებელში აბარებდნენ, ხშირი იყო შემთხვევა, როცა თანაკლასელს თანაკლასელი მოჰყავდა ცოლად, თუმცა იყო უიმედო სიყვარულიც, დანგრეული ოცნებები, სკოლის დასრულების შემდეგ დაკარგული თანაკლასელები...

სამართალდამცავ ორგანოებს ახალგაზრდა ქალმა მიმართა და განაცხადა, რომ მის მოკვლას აპირებდნენ. რაც მთავარია, გოგონამ მტკიცებულებაც წარადგინა, როგორ ემუქრებოდნენ მას ელექტრონულ ფოსტაზე და როგორ მისწერეს, რომ მესამე სწორედ ის იქნებოდა. რას ნიშნავდა მესამე? გოგონას ორი თანაკლასელი აკლდა, საუკეთესო მეგობრები, რომლებიც გარდაიცვალნენ. ერთს მანქანა დაეჯახა, მეორეს – სახურავიდან გადმოვარდნილი რკინის კონსტრუქცია დაეცა. ერთი შეხედვით, ორივე შემთხვევა ძალიან საეჭვო იყო, მაგრამ ძიება სრულყოფილად იყო ჩატარებული და ავტომობილის მძღოლიც სასჯელს იხდიდა და ის კომპანიაც დააჯარიმეს, რომელიც კორპუსს აშენებდა და უსაფრთხოების ზომები არ ჰქონდა დაცული, მეტიც, უზარმაზარი ჯარიმის გარდა, კომპანიის ორი თანამშრომელი პასუხისგებაში იყო მიცემული. ამის მიუხედავად, გოგონას ეჭვი, რომ ვიღაც საუკეთესო ხუთეულს დაერია, გამომძიებლებისთვის საყურადღებო იყო. ჰო, სწორედ რომ ხუთეულს და ამ ხუთეულში სამი ბიჭი და ორი გოგო იყო, კლასის ყველაზე გამორჩეული მეგობრები.

„სულ ხუთნი ვიყავით, ორი გარდაიცვალა და სამნი დავრჩით – მე, ჩემი თანაკლასელი გოგონა და კიდევ ერთი ბიჭი. იმ ბიჭს დიდი ბიზნესი აქვს და ორივე დაგვასაქმა, მასთან ვმუშაობთ, ხელმძღვანელ თანამდებობებზე, საქმეები კარგად მიგვდის და მგონია, რომ თუ მე მომიშორებენ, შემდეგში, სწორედ ,ათი ჯერი დადგება. ვინ შეიძლება იყოს ის, ვისაც ჩვენი სიკვდილი სურს? კიდევ ერთი ჩვენი თანაკლასელი, წარუმატებელი, არაფრისგან და არავისგან გამორჩეული. ვაღიარებ, მას ყველა დასცინოდა, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენი ხუთეული. თანაც, ის ჩემზე იყო უიმედოდ შეყვარებული“, – დამნაშავესავით ჩაიპალარაკა გოგონამ.

მან ისიც თქვა, წარუმატებელი თანაკლასელი ძალიან კარგად სწავლობდა, შემდეგ ევროპაში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად და მგონი, აღარც დაბრუნებულაო. ამ დროს კი, ძალოვანი უწყების სპეციალისტები მუშაობდნენ იმის დასადგენად, თუ საიდან იყო გამოგზავნილი მუქარის შემცველი წერილი ელექტრონულ ფოსტაზე და მალე მისამართიც დაადგინეს. აღნიშნულ მისამართზე ოპერჯგუფი გავიდა და ერთ საათში, სწორედ ის ბიჭი დაიჭირეს, რომელიც დაზარალებულის აზრით, ევროპაში უნდა ყოფილიყო.

„სამი თვეა, რაც საქართველოში დავბრუნდი. სწავლა დავამთავრე, რამდენიმე სერიოზული შემოთავაზება მქონდა, ერთ-ერთს დავთანხმდი და ახლა წარმატებული კარიერა მაქვს. რატომ გავგზავნე წერილი? არ ვიცი... შემთხვევით დავინახე ჩემი ბავშვობის სიყვარული ქუჩაში, მას არ შევუმჩნევივარ და ყველა იარა გამეხსნა. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ იმ ხუთეულიდან ორი გარდაცვლილი იყო და იმის გამო, რომ მას ენერვიულა, ცოტა მაინც ენერვიულა, წერილი მივწერე. არ მეგონა, თუ პოლიციაში მოვიდოდა. იცით, რა მაქვს ბავშვობაში გადატანილი? მეექვსე კლასში, იმ ბიჭებმა მაიძულეს, ამ შტერი გოგოსთვის ფეხსაცმელებზე მეკოცნა, ხომ გიყვარს, მაშინ აკოცეო. მართლა მიყვარდა, ძალიან მიყვარდა... მერე, მე-11 კლასში, დაბადების დღე რომ მქონდა, მთელი კლასი მოვიდა, ყველამ რაღაც მომიტანა, საჩუქრები კუთხეში დავდე. ამანაც მომიტანა რაღაც და დავინტერესდი, რა იყო, რა გაიმეტა და ოთახში გავედი, მოუთმენლად გავხსენი და თავისი საცვალი იდო, ნახმარი, ჭუჭყიანი საცვალი. ის კარიდან მიყურებდა და დამცინა, ხმამაღლა დამცინა და წავიდა. როგორ ფიქრობთ, არ უნდა მიმეწერა და არ მექნებოდა სურვილი, რომ ცხოვრებაში ერთი დღე მაინც ენერვიულა? რა თქმა უნდა, მოკვლას არ ვუპირებდი“, – განაცხადა მან.

საქმე შეიძლებოდა დახურულად გამოცხადებულიყო, მაგრამ ორ დღეში, გოგონამ პოლიციაში დარეკა და განაცხადა, რომ მას სადარბაზოში ვიღაც დახვდა, კედელს თავით მიანარცხა და საბედნიეროდ, დაყვირება მოასწრო, მეზობლებმა გამოიხედეს და თავდამსხმელი გაიქცა. რაღა თქმა უნდა, ეჭვი მაშინვე იმ ბიჭზე მიიტანეს, მაგრამ მას რკინის ალიბი ჰქონდა – სწორედ იმ დროს, სამსახურში სტუმრად ერთ-ერთი მინისტრის მოადგილე ჰყავდათ და ბიჭი სწორედ მას ესაუბრებოდა. სამართალდამცავებმა გოგონას გარემოცვის შესწავლა დაიწყეს. მას ავადმყოფი დედა და მამინაცვალი ჰყავდა, რომელიც ასევე მათთან ცხოვრობდა. დედა იმდენად მძიმედ იყო ავად, რომ ლოგინად ჩავარდა და მას მომვლელი დაუქირავეს. გაჩნდა ვერსია, რომ გოგონას სიკვდილის შემთხვევაში, ბინა სწორედ მამინაცვალს დარჩებოდა, რადგან მის დედასთან ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა, ქალი კი დიდხანს ნამდვილად ვერ იცხოვრებდა. თავდასხმის მომენტში, მამაკაცს ალიბი არ ჰქონდა და ამიტომ, ის დააკავეს და მკაცრად დაჰკითხეს.

„ამ ბინაში ისედაც ვცხოვრობ, სრული უფლება მაქვს, ვიცხოვრო და რატომ უნდა მინდოდეს ვინმეს სიკვდილი? მით უმეტეს, ამ შტერი გოგოსი, რომელიც, ადრე თუ გვიან, ვინმე ისეთს გადაეყრება, მთელ ცხოვრებას გაიმწარებს. სხვაგან ეძებეთ მკვლელი, ისეთი ხასიათი აქვს, ძალიან ბევრი მტერი ეყოლება“, – განაცხადა მამინაცვალმა.

სამართალდამცავებმა ის ორი მეგობარიც დაჰკითხეს, ბიჭი და გოგო მხრებს იჩეჩდნენ, წარმოდგენა არ გვაქვს, ვის შეიძლება სურდეს ჩვენი სიკვდილი, მით უმეტეს, ჩვენ მუქარის მინიშნებაც კი არ გვქონია და თან, მალე დაქორწინებას ვაპირებთ, მთლიანად ქორწილის ამბებითა და ახალი ბინის რემონტით ვართ დაკავებულნიო. გადაწყდა, დაზარალებულზე თვალთვალი დაწესებინათ, რადგან არ იყო იმის გარანტია, რომ თავდამსხმელი ისევ არ გამოჩნდებოდა.

რამდენიმედღიანმა თვალთვალმა შედეგი არ მოიტანა. რაც მთავარია, მართალი აღმოჩნდა თავად ქალის სიტყვები, პირადი ცხოვრება არ მაქვს, ან სახლში ვარ, ან სამსახურში, ან სახლიდან სამსახურამდე მიმავალ გზაზეო და მთელი დღები, ის სწორედ ამ მარშრუტით დადიოდა. რა თქმა უნდა, მან იცოდა, რომ ძალოვნები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ, რომ გვერდით იყვნენ და ამიტომ, ცდილობდა მათი თვალთახედვის არედან არ გამქრალიყო, გაქანებულ „მარშუტკას“, ან ავტობუსს არ შეხტომოდა, თავაზიანად ელოდა, როცა სადმე, რამეს გამო ფერხდებოდნენ. ერთ დღესაც კი სთხოვა, სხვა უბანში, დიდი მაღაზია რომ არის, იქ უნდა წავიდე, არ გაგიკვრიდეთ, რადგან ორ დღეში დედას დაბადების დღე აქვს და მინდა, რამე კარგი ვუყიდოო. რა თქმა უნდა, სამართალდამცავები უკან გაჰყვნენ და როცა გოგონა მაღაზიაში შევიდა, მშვიდად ელოდნენ გარეთ. მათი აზრით, გამორიცხული იყო, თავდამსხმელს უზარმაზარ მაღაზიაში ემოქმედა. დაახლოებით, ერთი საათი გავიდა და გოგონა არ ჩანდა. ოპერმუშაკები ცოტა ანერვიულდნენ და მაღაზიაში შევიდნენ. ყველაფერი მალე დაირბინეს და ობიექტი არსად იყო. მერე აღმოაჩნეს, რომ მაღაზიას მეორე გასასვლელიც ჰქონდა და საერთოდ გადაირივნენ. გარეთ გავარდნენ, შემდეგ განყოფილებაში დარეკეს და მოითხოვეს სასწრაფოდ გაერკვიათ, ხომ არ ცხოვრობდა ვინმე იმ უბანში, ვინც გოგონას იცნობდა. მალე გაირკვა, რომ მაღაზიასთან ძალიან ახლოს, სწორედ ის გოგო ცხოვრობდა, რომელიც ხუთეულში შედიოდა და მალე ქორწილი უნდა ჰქონოდა. ოპერები დასახელებულ მისამართზე წავიდნენ, კარზე დააკაკუნეს, თუმცა არავინ გაუღო. სამაგიეროდ, კარიდან გაზის სუნი გამოდიოდა. სამართალდამცავებმა კარი შეამტვრიეს და დიასახლისი უგონო მდგომარეობაში ნახეს, გაზი კი მოშვებული იყო და ისე ჩანდა, რომ ის ყავის მადუღარადან გადმოსულმა სითხემ ჩააქრო. უგონოდ მყოფი ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მანამდე კი, მათმა ობიექტმაც დარეკა, სად ხართ, მაღაზიიდან გამოვედი და ვეღარ გპოულობთო... გამომძიებელმა გოგონას დაკავების ბრძანება გასცა, რადგან ბინაში, ჩაძინებულმა და ლამის გაზით გაგუდულმა დაზარალებულმა, თვალი გაახილა და ორად ორი სიტყვის თქმა მოასწრო და ეს სიტყვები... მისი მეგობრის სახელი და გვარი იყო. ნელ-ნელა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და მაშინ, როცა მომჩივანი, წესით, დაზარალებული უნდა ყოფილიყო, მთავარი დამნაშავე აღმოჩნდა.

„ის ბიჭი მთელი ცხოვრება მიყვარდა, ჰო, მთელი ცხოვრება. ცოტა ხანს ურთიერთობაც გვქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მასთან მუშაობა დავიწყეთ, ჩვენს კიდევ ერთ მეგობარზე გადაირია და ცოლად მოყვანა უნდოდა. ამას ვერ დავუშვებდი და ვფიქრობდი, რამე გამეკეთებინა. ამ დროს, შემთხვევით ის ბიჭი დავინახე, რომელსაც სკოლაში ვჩაგრავდით, სურვილი არ მქონდა, გავსაუბრებოდი და ამიტომ, ვითომ ვერ შევნიშნე. ორ დღეში, მუქარის წერილი მომივიდა, მივხვდი, ის იყო და გეგმაც სწორედ მაშინ მოვიფიქრე. თავიც ჩემით დავიზიანე სადარბაზოში, მამინაცვლის მოშორებაც მსურდა ანუ ყველა ერთდროულად უნდა მომეშორებინა. იქ, ბინაში, ცოტა დამაგვიანდა, თორემ დროზე რომ დავბრუნებულიყავი, ჩემზე ეჭვს ვერავინ მოიტანდა, მოწმედ ოპერები მეყოლებოდა“, – თქვა ქალმა, რომელსაც სასამართლომ მკვლელობის მცდელობისა და სამართალდამცავების შეცდომაში შეყვანისთვის, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორ გაიტაცა ქალმა საყვარლის შვილი სკოლიდან

წარუმატებელი შურისძიების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ადრე ასე იყო (პრინციპში, ახლაც ასეა) – თუ სრულწლოვანი დაიკარგებოდა, სამართალდამცავები გაძლიერებულ ძებნას მხოლოდ 48 საათის შემდეგ იწყებდნენ. ეს იმიტომ, რომ დიდი შანსი იყო, ვიღაც სადღაც დამთვრალიყო და ვიღაცასთან დარჩენილიყო, ან სახლიდან გაქცეულიყო და ასე შემდეგ. მთავარი იყო, ოჯახის წევრები დაემშვიდებინათ, დაერწმუნებინათ, რომ მთელ ძალებს სწორედ დაკარგულის საძებნელად გადაისროდნენ, სინამდვილეში კი, ძებნას მხოლოდ ორი დღის შემდეგ იწყებდნენ.

სრულიად განსხვავებული სიტუაცია იყო, თუ საქმე არასრულწლოვანს ეხებოდა. მეტიც, თუ ბავშვი 10 წლამდე იყო, საქმეში მართლაც მთელი ძალები ერთვებოდნენ, თუ გარდატეხის ასაკი ჰქონდა ბავშვს – ისე გაძლიერებულად არ ეძებდნენ. სტატისტიკაც ამაზე მეტყველებდა – სრულწლოვანი დაკარგულების აბსოლუტური უმრავლესობა 48 საათში უკან ბრუნდებოდა, გარდატეხის ასაკში მყოფ ბავშვებსაც, ან მეგობრებთან პოულობდნენ, ან სარდაფსა თუ სხვენში, სადაც ისინი ოჯახთან პროტესტისა თუ კონფლიქტის გამო იმალებოდნენ, აი, 10 წლამდე ბავშვების შემთხვევა საგანგაშო იყო. სწორედ ასეთი განგაში გამოცხადდა მაშინ, როცა პოლიციის განყოფილებაში შეტყობინება შევიდა, რომ სკოლაში მისულ დედას მესამეკლასელი შვილი აღარ დახვდა. მეტიც, გამოჩნდა მოწმე, მეეზოვე ქალი, რომელიც ამტკიცებდა, ბიჭუნა ვიღაცის მანქანაში ჩაჯდა, თავისი ნებით ჩაჯდა, შემდეგ გადმოსვლა დააპირა, ფეხი გარეთ გადმოდო, მაგრამ შიგნიდან არ გამოუშვეს და ეს მანქანა ადგილიდან ღია კარით მოწყდა, კარი მერე, 15-20 მეტრის გავლის შემდეგ დახურა და მიიმალა. ქალს მხოლოდ მანქანის ფერი ახსოვდა, ნომერი და მარკა კი მეეზოვემ ვერ გაარჩია. უფრო ზუსტად, ნომერი ვერ გაარჩია, ავტომობილების მარკებში ვერ ერკვეოდა.

რაღა თქმა უნდა, მაშინვე განგაში გამოცხადდა, აღნიშნული ფერის ავტომობილების გადამოწმება დაიწყეს, მაგრამ... თეთრი ფერის ავტომანქანა, ლამის ყოველ მეორეს ჰყავდა და ეს რთული საქმე იყო. ბავშვის დედა კედელს ურტყამდა თავს, ეს რა დამემართა, ჩემი ანგელოზი ბიჭუნა როგორ მომპარესო, ბავშვის მამა ბოლო ხმაზე ღრიალებდა, სამართალდამცავებს ადანაშაულებდა, თქვენი ბრალიაო და ხანდახან ცოლსაც შეუძახებდა, შენი იდიოტური სამსახური რომ არა, ბავშვს მეტ ყურადღებას მიაქცევდი და არ მოიპარავდნენო. ქალი რიგით თანამშრომლად მუშაობდა, არცთუ მაღალი ხელფასი ჰქონდა. გამორჩეული არ იყო არც მამაკაცის სამსახური, მაგრამ ცოლზე ორჯერ მეტი ჯამაგირი ჰქონდა. ჩვეულებრივი, წყნარი ოჯახი იყო და ვინმეს გამოსასყიდის მიღების მიზნით რომ მოეტაცა ბავშვი, სულელი უნდა ყოფილიყო. ცოლ-ქმარს ბინაც კი არ ჰქონდა ისეთი, მისი გაყიდვის შემთხვევაში, ვინმეს ბავშვის გატაცება გაერისკა. მაშ, რა იყო მიზეზი, რომ ვიღაცამ სწორედ ეს ბავშვი გაიტაცა?

„არ გამორიცხოთ, რომ საქმე მანიაკთან გვქონდეს. სხვა მოტივი, უბრალოდ, არ ჩანს. შეუძლებელია, ამ ადამიანებს ისეთი მტერი ჰყავდეთ, რომელიც შურს ბავშვის გატაცებით იძიებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიღაცამ ბავშვი მოტივის გარეშე გაიტაცა და როცა არ არის მოტივი, ეს ყველაზე ცუდია. ეძებეთ ყველგან, ფეხზე დააყენეთ აგენტურული ქსელი, რაც გინდათ, ის გააკეთეთ, მაგრამ 24 საათში, ბავშვი თუ არ ვიპოვეთ, შემდეგ მისი პოვნის შანსი 40%-მდე შემცირდება, 48 საათის გასვლის შემდეგ კი, შანსი 10% იქნება. თქვენ არ გაქვთ სხვა საქმე, თქვენ არ იძინებთ მომდევნო 24 საათის განმავლობაში, ვეძებთ ბავშვს და რაც მთავარია, აუცილებლად ვპოულობთ“, – საქმის გამომძიებელი თათბირზე კი არ საუბრობდა, ბოლო ხმაზე ყვიროდა.

რა თქმა უნდა, ოპერმუშაკები მაშინვე ქალაქს მოედნენ, პარალელურად, ყველგან დაძრწოდნენ აგენტები, ეგებ, სადმე რამე გაეგოთ, მაგრამ შეტყობინების შესვლიდან 6 საათი გავიდა და პოლიციას არაფერი ჰქონდა, უფრო ზუსტად, საერთოდ არაფერი. არანაირი ხელჩასაჭიდი ვერსია, არანაირი მინიშნება დაკარგულ ბავშვზე, თითქოს მიწამ ჩაყლაპა, იყო ბავშვი და აღარც იყო. გადაამოწმეს ის ადამიანებიც, რონლებიც ადრე ბავშვებზე ძალადობისთვის იყვნენ ნასამართლევი, ან ეჭვმიტანილი, მაგრამ აქაც ხელი მოეცარათ – ყველა მათგანს ალიბი ჰქონდა და რაც მთავარია, არცერთს ჰყავდა თეთრი ფერის ავტომობილი.

„სხვა გზა არ არის, ბავშვის მშობლების წარსული გაქექეთ, დაკითხეთ ყველა, ჭორიკანა მეზობლებით დაწყებული, გაბრაზებული კოლეგებითა თუ ნათესავებით დამთავრებული. იპოვეთ რამე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, ვინმეზე ან რამეზე ეჭვი მივიტანოთ“, – გამომძიებელი, პრაქტიკულად, ხავსს ეჭიდებოდა.

ორი საათის შემდეგ, განყოფილებაში დაბრუნებულ ოპერებს რამე საინტერესო მოსაზრება არ ჰქონდათ. გამორჩეულ ოჯახს მტერი არ ჰყავდა, ისინი ვერც არდადეგებზე ახერხებდნენ, ბავშვი რომელიმე კურორტზე წაეყვანათ დასასვენებლად და მუდმივად სოფელში დაატარებდნენ. ერთი ეგ იყო, ვიღაცამ თქვა, მამაკაცს საყვარელი ჰყოლია და ცოტა არ იყოს, უცნაურია, საყვარელს როგორ არჩენს, ხანდახან, პურის ფულის პრობლემა აქვსო. საყვარელზე ხელი ჩაიქნიეს და ისევ სხვა მიმართულებით განაგრძეს ძებნა, მაგრამ ამაოდ. დაჰკითხეს სხვა მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექტორი, მაგრამ ვერ დაჰკითხეს კლასის დამრიგებელი, ის იმ დღეს შეუძლოდ იყო და სკოლაში არ ყოფილა. სამართალდამცავებმა იფიქრეს, რომ გატაცება, შესაძლოა, დამრიგებელთან ყოფილიყო დაკავშირებული და მას სახლში დაადგნენ. მასწავლებელი მართლაც ცუდად იყო, აშკარად ეტყობოდა, რომ სიცხე ჰქონდა და როცა გაიგო, რომ მოსწავლე დაიკარგა, ძალიან შეწუხდა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, ვის შეიძლებოდა, ბავშვი გაეტაცებინა, მაგრამ როცა გაიგო, რომ საქმეში თეთრი მანქანა იყო გარეული, ჩაფიქრდა და თქვა, რომ თეთრი მანქანა ადრეც შენიშნა, იმ ავტომობილში ბიჭი რამდენჯერმე ჩაჯდა და... მანქანის მძღოლი ქალი იყო, ქალი...

გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს. მათ ახლა ის იცოდნენ, რომ გამტაცებელი ქალი იყო და რამდენ ქალს უნდა ევლო თეთრი მანქანით? მაშინვე გადაქექეს შესაბამისი საბუთები და თეთრი მანქანის მფლობელი ოთხი ქალი იპოვეს. მათი შესწავლა უნდა დაეწყოთ, როცა ერთ-ერთმა ოპერმა იყვირა, ეს სახელი და გვარი ვიცი, ამ ქალზე მითხრეს, რომ გატაცებული ბავშვის მამის საყვარელია. ოპერები მითითებულ მისამართზე გავარდნენ, მაგრამ შინ არავინ დახვდათ. მეზობლების თანდასწრებით, ბინის კარი შეამტვრიეს და ხელში მხოლოდ ღია ფანჯარა შერჩათ. ის, რომ ბავშვი იქ იყო, სკოლის ჩანთაც ადასტურებდა, მაგრამ ბავშვი, ალბათ, ღია ფანჯრიდან გადაძვრა და პირველი სართულიდან ამის გაკეთება არ უნდა გასჭირვებოდა. თუმცა, ქუჩის მხრიდან, ფანჯრის ძირში, პლასტმასის ორი ცალი ყუთი იყო ერთმანეთზე დაწყობილი ანუ ბიჭს ვიღაც დაეხმარა, მაგრამ ვინ და რაც მთავარია, სად იყო ბიჭი? ოპერების ნაწილი ქალთან სამსახურში წავიდა და ის სწორედ იქ დააკავეს. როცა ბავშვის შესახებ ჰკითხეს, მხრები აიჩეჩა, მე არავინ გამიტაცებია, თავისი ნებით წამომყვა და სახლში მშვიდად არისო, მაგრამ როცა გაიგო, რომ ბავშვი სახლში არ იმყოფებოდა, თავადაც შეშფოთდა. ძალოვნები მოწმეს ეძებდნენ, წესით, ვიღაცას უნდა დაენახა, როგორ ძვრებოდა ბავშვი ფანჯრიდან და მოწმეს მიაგნეს კიდეც.

„კი, დავინახე, ბავშვს გარედან გოგონა ეხმარებოდა, ეს გოგო ჩვენს მეზობლად ცხოვრობს, მგონი, იმ კორპუსში და სწორედ იქით წავიდნენ ბავშვები. მეგონა თამაშობდნენ, მე რა ვიცოდი, თუ გატაცებული იყო“, – თავი იმართლა მოწმემ. გოგონას ბინა ადვილად იპოვეს, ის კი კარს არ აღებდა, სანამ მამიკო არ მოვა, არ შემოგიშვებთო. სამართალდამცავებმა მამიკო მალე მოიყვანეს და გოგონამაც კარი თამამად გააღო.

„სახლში მივდიოდი, ამ ბიჭმა რომ დამიძახა, მიშველე, გამიტაცესო. ფანჯრიდან ვერ გადმოვიყვანდი, ყუთები ვიპოვე, ჩვენს სახლთან რომ მაღაზიაა, იქ დევს ხოლმე და მერე სახლში წამოვიყვანე. მშობლებს ველოდებოდი, რომ მათთან ერთად გადაგვეწყვიტა, რას ვიზამდით“, – „საქმიანად“ უპასუხა 11 წლის გოგონამ.

როგორც გაირკვა, ბავშვი მამის საყვარელს იცნობდა, ხანდახან მიჰყვებოდა ხოლმე, თუმცა ქალმა გადაწყვიტა, რომ ბავშვი საბოლოოდ წაეყვანა და ამით, კაცისთვისაც მასთან გადასვლა ეიძულებინა. მას არ უფიქრია, რომ დედა იოლად არ დათმობდა ბავშვს, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ სასამართლო დედას შვილს არ დაუტოვებდა, რადგან მას საკმარისი შემოსავალი არ ჰქონდა. საბოლოო ჯამში, გამტაცებელს პირობითი სასჯელი მისცეს, ქალი ქმარს გაშორდა და სოფელში, მშობლებთან დაბრუნდა საცხოვრებლად.

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ იმ ავადსახსენებელი 90-იანებიდან ბევრს შემორჩა ბიზნესი თუ ქონება. ჰო, ადამიანების ნაძარცვი ფულით ბევრმა ცხოვრება აიწყო და მეტიც, ისეთებიც იყვნენ, მაშინ ნაძარცვი ფული წარმატებით რომ დააბანდეს და ახლა ათეულობით მილიონი ლარი თუ დოლარი აქვს. ხანდაზმულობის ვადისა, თუ დიდი დროის გასვლის გამო, მათ პასუხს ვერც სამართალდამცავები სთხოვენ, ვერც ის ოჯახები, რომლებიც თავის დროზე დააზარალეს.

„მე მოვკალი“

„კანონიერი ქურდის“ აღიარებითი ჩვენება

სწორედ ერთ-ერთი ასეთი მამაკაცი იპოვეს გარდაცვლილი საკუთარ ავტომობილთან. მას თავში მძიმე, ბლაგვი საგანი ჰქონდა ჩარტყმული და ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დარტყმა ძლიერი არ იყო, მაგრამ თავში კაპილარი გასკდა, რამაც გაჟონვა გამოიწვია და მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. რა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა მისი გარემოცვის შესწავლა დაიწყეს და ბევრი საინტერესო რამ გაარკვიეს. მას საკუთარი სახელოსნო ჰქონდა და იმის მიუხედავად, რომ არსებობდა ეჭვი, სახელოსნოში მოპარულ ავტონაწილებს იბარებდნენ, მაგრამ ფაქტზე ვერც ერთხელ დაიჭირეს. კიდევ ის იყო საინტერესო, რომ სახელოსნოში ასი პროცენტით ნასამართლევი პირები მუშაობდნენ, ისინი, რომლებსაც „სროკი“ ჰქონდათ მოხდილი და ამიტომ, საერთო ენის გამონახვა არ უჭირდათ. გადაწყდა, პირველ რიგში, სწორედ ეს ადამიანები დაეკითხათ. თავიდან თავი ყველას ყინჩად ეჭირა, ძალოვნებთან ურთიერთობას მიჩვეულები იყვნენ და არაფრის ეშინოდათ, მაგრამ გამომძიებელს ერთ-ერთის ქცევა არ მოეწონა, ნარკოტიკულ თრობაზე შეამოწმა და დადებითი პასუხიც მიიღო.

„ახლა აირჩიე, ან „სროკზე“ წახვალ, ან თავიდან ბოლომდე მოყვები, ვინ ემუქრებოდა, რატომ ემუქრებოდა, ვისთან ჰქონდა „რაზბორკები“. ბევრი დრო არ მაქვს, მოსაფიქრებლად 30 წამს გაძლევ“, – უთხრა გამომძიებელმა დაკავებულს და მაშინვე მიხვდა, რომ ის ყველაფერს დაფქვავდა.

„მაგის „პადელნიკი“ გამოვიდა ციხიდან, დიდხანს იჯდა, მთლიანობაში, 20 წელი გამოუვიდა, ჯერ გარეთ მოკლა ყაჩაღობის დროს ვიღაც, მერე ციხეშიც დაიმატა სასჯელი. ჩვენს უფროსს მოადგა და გამოუცხადა, ხომ იცი, რაზეც ვიჯექი, ისიც ხომ იცი, რომ ჩემი დუმილის გამო, შენ არავინ შეგეხო, არც წილი მინდა შენი ბიზნესებიდან, არც ყოველთვიური ფული, ერთოთახიანი ბინა მიყიდე, დასარჩენი რომ მქონდეს, ჩემს თავს თავად მივხედავო. უფროსი გაჯიუტდა და ის კაციც წავიდა, თუმცა დაუბარა, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო. ეს ამბავი მკვლელობამდე, დაახლოებით, 10-12 დღით ადრე იყო და მგონია, რომ სწორედ ის მოკლავდა“, – თქვა კუთხეში მიმწყვდეულმა მოწმემ და იმ დაუპატიჟებელი სტუმრის მეტსახელიც გაიხსენა.

სამართალდამცავებს პიროვნების დასადგენად ბევრი არ უწვალიათ, მარტივად გაიგეს, ვისზე იყო საუბარი და უფრო მარტივად მის სახლსაც მიადგნენ, მაგრამ იქ მხრები აიჩეჩეს, ასეთი არავინ ცხოვრობსო. ამიტომ, მასზე ძებნა გამოცხადდა და განყოფილებების გარდა, მისი სურათი გაჩერებებზე, სადგურებზე, ხალხის თავშეყრის ადგილებზეც გამოფინეს. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, რადგან... ძებნილი განყოფილებაში თავად მივიდა, გამომძიებელი იკითხა, მერე საკუთარი ფოტო დაუდო წინ და მშვიდად გააბოლა, თან ფოტოზე ანიშნა, ვერ გავიგე, რა ხდებაო...

„ჩემი სურათი ვნახე, თურმე, მეძებთ და აგერ, მოვედი, გამოვცხადდი და გისმენთ, რაში მედება ბრალი? ოღონდ, გაითვალისწინეთ, მე ციხეში დამბრუნებელი აღარ ვარ, პატიოსნად ვცხოვრობ“, – განაცხადა მოსულმა და როცა გაიგო, რომ მისი ყოფილი „პადელნიკი“ მოკლეს, თავი გადააქნია, მხრები აიჩეჩა და ანიშნა, მე რა შუაში ვარო. გამომძიებელმა დეტალებში მოუყვა მოწმის ნათქვამი და მოსულსაც ჩაეცინა, სულ „გაბოზდა“ ეს ხალხიო, მერე კი დაიწყო:

„თქვენ არასრული, თან არასწორი ინფორმაცია გაქვთ. ჩემი ძმაკაცი პირველ ჯერზე კი გაჯიუტდა, მაგრამ მერე თავად მიპოვა და ერთის ნაცვლად, ოროთახიანი ბინა მიყიდა, ამას გარდა, მცირე ბიზნესის აწყობაში დახმარებას დამპირდა, ფულსაც მოგცემო და როგორ გგონიათ, ასეთ კაცს მოვკლავდი? რატომ? რისთვის“, – თქვა მოსულმა და თუ მისი სიტყვები სიმართლე იყო – მოტივი არ ჰქონდა, „ოქროს კვერცხის მდებელი ქათამო“ მოეკლა. გადამოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ის მართალი იყო, გარდაცვლილმა მართლაც უყიდა ბინა, მართლა ეხმარებოდა საქმის წამოწყებაში და მისი მოკვლა ყველაზე ნაკლებად, სწორედ მას აწყობდა. დანარჩენებს კი, პრაქტიკულად ხმა არ ამოუღიათ. გამოძიება ჩიხში შევიდა.

„როგორც მეზობლები ამბობენ, მოკლულს ცოლთან კარგი ურთერთობა არ ჰქონდა, არც თუ იშვიათად, სცემდა და ეგებ, ცოლმა დაიქირავა მკვლელი. თანაც, მისი სიკვიდლის შემდეგ, მთელი ბიზნესი სწორედ ცოლის სახელზე გადავა“, – თქვა ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა და ცოლის დაკითხვა გადაწყდა.

„მესმის, რისი თქმაც გუნდათ, მაგრამ დამიჯერეთ, მე შეგუებული ვარ, რომ მეზობლებს დაჩაგრული ქალი ვგონივარ, ეს კი სრული სიცრუეა. რაც შეეხება ცემას, ხელი არასდროს დაუკარებია, ეს მეზობლებს ეგონათ, რომ მცემდა, სინამდვილეში, თუ ნასვამი მოდიოდა, რაღაცები ახსენდებოდა არცთუ საამაყო წარსულიდან, მუშტებს კედელს ურტყამდა და იგინებოდა, მაგრამ ჩემი მიმართულებით – არა. ხელები რომ არ დამტვრეოდა, სახლში, კედლებზე რბილი რეზინი გვაქვს მიკრული, თავად გააკეთა, იცოდა საკუთარი ხასიათი. ვის შეიძლებოდა მოეკლა? არ ვიცი, წარმოდგენა არ მაქვს. ის ან უყვარდათ, ან ისე ეშინოდათ, რომ ვერაფერს უბედავდნენ. ჰო, ხანდახან იმდენად უხეში იყო, რომ ყველაფერი ეს თავხედობაში გადასდიოდა, მაგრამ მე არ მიკვირდა, რაც გამოიარა, იმის შემდეგ, ყველაფერს შეგუებული ვიყავი და არასდროს დამიშლია არაფერი“, – განაცხადა ქალმა.

გამოძიებისთვის, ბოლო იმედი გარდაცვლილის გასვენება იყო, ეგებ, იქ გაეგოთ რამე, ან ენახათ ვინმე ისეთი, ვინც ძაფის ბოლო იქნებოდა. თანაც, საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით, მკვლელი მოკლულის დაკრძალვას აუცილებლად ესწრება. მოკლედ, დაკრძალვის დღეს, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ოცამდე ოპერმუშაკი ხალხში გაერია. დღის ბოლოს, საგანგებო თათბირი იყო ჩანიშნული და სწორედ იქ უნდა გარკვეულიყო, გაიგეს თუ არა რამე საინტერესო. აბსოლუტურად ყველა თავჩაღუნული მივიდა და აღიარა, რომ ვერც ყური მოჰკრეს ვერაფერს და ვერც საინტერესო რამ გაიგეს. მხოლოდ ერთმა, საპენსიო ასაკში მყოფმა ოპერმა თქვა, ხალხში გავლენიანი კანონიერი ქურდი შევნიშნე, ეს ჩვენი მკვდარი კი იყო კრიმინაალი, მაგრამ არ მეგონა ისეთი ავტორიტეტი თუ გახლდათ, ამ დონის ქურდს დაეფასებინა, თანაც, ბოლო წლებში, ის საზღვარგარეთ ცხოვრობდა და ერთხელაც არ ჩამოსულა. თან არც სამძიმარი უთქვამს ვინმესთვის, მოშორებით იდგა და თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას აკვირდებოდაო. გამომძიებლებმა ინფორმაციის მოძიება დაიწყეს.

როგორც გაირკვა, „კანონიერი ქურდი“ საქართველოში, მკვლელობამდე სამი დღით ადრე დაბრუნდა. რაც მთავარია, მისი შვილი, თურმე, იმ სახელოსნოში მუშაობდა, რომლის მფლობელიც გარდაცვლილი იყო და ძალოვნებმა სასწრაფოდ ის მამაკაცი დაიბარეს, რომელიც ნარკოტიკების გამო აალაპარაკეს.

„რაა? ის ლაწირაკი ცნობილი ქურდის შვილია? ყველაზე მეტად მაგ ბიჭს ავიწროვებდა და სავარაუდოდ, როგორც ჩვენ, ისე არც იმან იცოდა, ვინ იყო, თორემ ვერ გაბედავდა. შავ დღეში ჰყავდა, აგინებდა, ხელით ეხებოდა. არადა, მაგარი თავმდაბალი ბიჭი იყო, ცდილობდა ყველას დაგვხმარებოდა, ხელობა არ იცოდა, მაგრამ მიიტანე, მოიტანე კარგად ეხერხებოდა. ჩემთვის იმის ნახევარი რომ ექნა, რასაც იმ ბიჭის უკეთებდა, იქ ერთი დღეც არ გავჩერდებოდი, მაგრამ ბიჭს, ალბათ, წასასვლელი არსად ჰქონდა, რადგან სახელოსნოში რჩებოდა, იქ პატარა ოთახი მოუწყო უფროსმა და სულ იქ იყო“, – თქვა მოწმემ.

ძალოვნებმა „კანონიერი ქურდი“ დააკავეს და ბრალი მკვლელობაში წაუყენეს. მისი რეაქცია ძალიან საინტერესო იყო.

„ზუსტად ვიცი, რომ ჩემზე არაფერი გაქვთ, მაგრამ ჰო, ვაღიარებ, რომ მე მოვკალი. ახლა ციხე ჩემთვის ყველაზე უსაფრთხო ადგილია. თავზეხელაღებულ ტიპებს დავუპირისპირდი, ნამდვილი ომი წამოიწყეს და მივხვდი, რომ შვილი უნდა გადამემალა. ეს იდიოტი ჩემთან ვალში იყო, ერთხელ სიკვდილს გადავარჩინე და ვთხოვე, შენთან შეიფარე, არავინ უნდა იცოდეს, ვისი შვილია-მეთქი. მეტიც, ოთახის მოსაწყობად ფული მე მივეცი, სხვა თანხაც დავუტოვე, ბიჭისთვის ხელფასი რომ ეხადა. ვუთხარი, მანქანებში არაფერი გაეგება, მაგრამ საბურავის მოხსნა-დაყენება კი იცის და არ დატვირთო-მეთქი. ამან კიდევ, გადაწყვიტა, რომ ჩემი შვილი უნდა დაეჩაგრა, რომ შავ დღეში ჰყოლოდა, რომ ნორმალური ოთახის ნაცვლად, საღორე მოეწყო. შვილს რომ ველაპარაკებოდი ტელეფონით, ვერაფერს ვხვდებოდი, მიმალავდა, იცოდა, პრობლემები მქონდა, მაგრამ ბოლოს მითხრა, ეგებ, სხვა სამუშაო მიშოვოო და ჩამოვედი, სახელოსნოში ღამე მივედი, დავიმალე და დილას დაველოდე. დილა კი იმით დაიწყო, რომ უფროსი მოვიდა და მისალმების ნაცვლად, ჩემს შვილს პანღური ამოარტყა. ჩუმად დავტოვე იქაურობა და მერე შეხვედრაზე დავიბარე. მოკვლა არ მინდოდა, მაგრად უნდა მეცემა, მაგრამ შემომაკვდა. მარტო ერთ რამეს გთხოვთ, არ გაახმაუროთ, რომ ის ჩემი შვილია, მოკლავენ“, – განაცხადა „კანონიერმა ქურდმა“.

სამეგრელოს პოლიციამ ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით 1958 წელს დაბადებული მ.ჯ. დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე შვილს – 1994 წელს დაბადებულ ლ.ჯ.-ს, სანადირო თოფიდან გასროლით სახისა და ზურგის არეში დაზიანებები მიაყენა.

დაჭრილი ლ.ჯ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ რუსთავში მომხდარი ორი ადამიანის განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული გ.ფ. ოჯახის ორი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ რუსთავში, დუმბაძის ქუჩაზე, მეუღლე – 2003 წელს დაბადებული მ.ს. და მეუღლის დედა – 1976 წელს დაბადებული ი.ბ. თოფიდან გასროლით მოკლა.

სამართალდამცველებმა გ.ფ. ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ოჯახის ორი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის 77 პირი დააკავა, მათგან 23 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის – თეიმურაზ კუპატაძის ბრიფინგი:

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გამოვლენილი იქნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული. კერძოდ ამოღებული იქნა ბანანით დატვირთულ საზღვაო კონტეინერში ფარულად მოთავსებული 52 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“, რომელიც ეკვადორიდან ევროპაში ტრანზიტული გზით, საქართველოს გავლით გადაჰქონდათ.

ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები ნარკოტრანზიტში ჩართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების გამოვლენისა და მათი დაკავების მიზნით.

ასევე ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველების მიერ აღმოჩენილი და განეიტრალებული იქნა ერთ-ერთი მსხვილი ინტერნეტ ნარკოსარეალიზაციო მაღაზია, რომელიც ე.წ. შავი ბაზრის 50 პროცენტზე მეტს ამარაგებდა.

აღნიშნულ მაღაზიას მართავდა, ასევე, დადების მეთოდით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას ახდენდა ჩვენ მიერ დაკავებული, 1963 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე, რომლის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ასევე, მის მიერ მითითებული ლოკაციებიდან ნივთმტკიცებად ამოღებული იქნა 4 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“, 27 ათასი ცალი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზის“ აბები და 10 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „მდმა“.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლების მიერ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბოლო პერიოდში, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 77 პირია დაკავებული მათ შორის 23 ნარკორეალიზატორია.

დაკავებულები არიან როგორც საქართველოს, ასევე, ირანის, თურქეთის, რუსეთის, ინდოეთის და ნიგერიის მოქალაქეები.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

დაკავებულების მიერ მითითებული ლოკაციებიდან, ასევე, დაკავებულების პირადი, საცხოვრებელი სახლებისა და მათი ავტომანქანების ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები: „ჰეროინი“, „კოკაინი“, „მდმა“, „ალფა პვპ“, „მეტამფეტამინი“, „მეტადონი“, „ჰაშიში“ და ფსიქოტროპული ნივთიერებები.

ბრალდებულებისგან პოლიციამ, ასევე, ნივთმტკიცებად ამოიღო სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული დიდი ოდენობით ფული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლებით მიმდინარეობს.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა: „სასამართლომ ტრანსნაციონალური დანაშაულისთვის, თაღლითობისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ერთი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირი დამნაშავედ სცნო“

თბილისის საქალაქო სასამართლომ ტრანსნაციონალური დანაშაულისთვის, თაღლითობისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ერთი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირი დამნაშავედ სცნო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, ბრალდებულებმა დანაშაულებრივი გზით, დაახლოებით, 1 760 000 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განახორციელეს.

„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, ფინანსურ ინსტიტუტში თანხის დაბანდების შემთხვევაში, მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიღების თაობაზე, ინტერნეტსივრცეში ყალბი რეკლამა განათავსეს. ბრალდებულებმა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაცია დაამყარეს და ნდობაში შესვლის შემდეგ, დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარი საქართველოში, მსჯავრდებულის მიერ დაფუძნებული ფიქტიური საწარმოს საბანკო ანგარიშებზე მოტყუებით ჩაარიცხვინეს.

შემდგომში, ბრალდებულებმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის ნაწილი, დაზარალებულებს მათ მიერ კონტროლირებად უცხოურ საბანკო ანგარიშებზე გადარიცხეს, რა გზითაც დაახლოებით 1 760 000 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განახორციელეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ბრალდებულ ფიზიკურ პირს, სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო იურიდიულ პირს [illegible]

სანიოლმა შემადგენლობა დაასახელა

სამ კვირაზე ნაკლები დარჩა... 18 ივნისს, საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე სადებიუტო შეხვედრას გამართავს. ქართული ფეხბურთის ისტორიის ახალი ფურცელი სწორედ ამ დღეს დაიწერება. რა თქმა უნდა, ქართველი გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა ვილი სანიოლის გადაწყვეტილებას და აინტერესებდა, თუ ვის შეიყვანდა ევროპის ჩემპიონატის განაცხადში ფრანგი სპეციალისტი. ჰოდა, ნაკრების თავკაცმაც სია ჩამოწერა და მოდით, თავიდანვე გეტყვით, რომ ცვლილების განხორციელება მოუხდა. მან სიაში ჯაბა კანკავა შეიყვანა, თუმცა, ნაკრების ვეტერანმა თავად თქვა უარი ევროპის ჩემპიონატზე თამაშზე და აღნიშნა, რომ გერმანიაში მხოლოდ გულშემატკივრის რანგში წავა. მის ნაცვლად, ფრანგმა სპეციალისტმა გაბრიელ სიგუა გამოიძახა, თუმცა... გულშემატკივარი ელოდა, რომ ის ირაკლი აზაროვს დაუძახებდა და თუ რატომ, ამაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი, ჩვენი ნაკრების განაცხადს გავეცნოთ:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), გიორგი ლორია („დინამო“ თბილისი), ლუკა გუგეშაშვილი („ყარაბახი“, აზერბაიჯანი);

მცველები: სოლომონ კვირკველია („ალ ახდუდი“, საუდის არაბეთი), გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), გიორგი გველესიანი („პერსეპოლისი“, ირანი), ლაშა დვალი („აპოელი“, კვიპროსი), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“, იტალია), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), გიორგი გოჩოლეიშვილი („შახტარი“, უკრაინა), ჯიმი ტაბიძე („პანეტოლიკოსი“, საბერძნეთი);

ნახევარმცველები: ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), ნიკა კვეკვესკირი („ლეხი“, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე („უოტფორდი“, ინგლისი), გიორგი წიტაიშვილი („დინამო“ ბათუმი), ლევან შენგელია („პანეტოლიკოსი“, საბერძნეთი), სანდრო ალთუნაშვილი („ვოლფსბერგერი“, ავსტრია), გიორგი ქოჩორაშვილი („ლევანტე“, ესპანეთი), გაბრიელ სიგუა („ბაზელი“, შვეიცარია), ანზორ მექვაბიშვილი („კრაიოვა“, რუმინეთი);

თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე („მეცი“, საფრანგეთი), ბუდუ ზივზივაძე („კარლსრუე“, გერმანია), გიორგი ქვილითაია („აპოელი“, კვიპროსი), ზურიკო დავითაშვილი („ბორდო“, საფრანგეთი), საბა ლობჟანიძე („ატლანტა იუნაიტდი“, აშშ), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია).

რაც შეეხება შემადგენლობას. ვაღიაროთ, რომ მოულოდნელი არაფერი ყოფილა, გარდა ერთისა – ყველა ელოდა, რომ სანიოლი ირაკლი აზაროვს აუცილებლად გამოიძახებდა. „შახტარის“ ქართველი ლეგიონერი ნაკრების ლამის უცვლელი წევრი იყო. რაც მთავარია, გუნდისთვის სარგებელიც მოჰქონდა, თუმცა ბოლო დროს უთამაშებელი იყო და სანიოლმაც მიზეზად სწორედ ეს დაასახელა, მაგრამ გულშემატკივართა აბსოლუტურ უმრავლესობას მიააჩნია, რომ აზაროვი შემადგენლობაში უნდა იყოს. კიდევ ერთი, რაც გულშემატკივარს არ მოსწონს, ის გახლავთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული უკლებლივ ყველა ნაკრები, ყველაზე ცოტა, ორ ამხანაგურ შეხვედრას მართავს, ჩვენ კი, მხოლოდ ერთს და ისიც ვთქვათ, რომ საქართველო ევროპაზე ერთადერთი დებიუტანტია და რეიტინგში, გერმანიაში მყოფი ნაკრებებიდან, ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას.

შეგახსენებთ, რომ 18 ივნისს, ჩვენი ნაკრები დორტმუნდში თურქეთს შეხვდება, 22 ივნისს, ჰამბურგში – ჩეხეთს, ხოლო, 26 ივნისს, გელზენკირხენში – პორტუგალიას. ევროპის ჩემპიონატამდე, საქართველო ამხანაგურ მატჩს მონტენეგროსთან, 9 ივნისს ჩაატარებს.

კვარაცხელია – 100, მამარდაშვილი – 40, მიქაუტაძე – 20 მილიონი – ქართველ ლეგიონერებს რიგი დაუდგათ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდეც კი, არაერთი მსურველი ჰყავთ და რა გასაკვირია, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა ხვიჩა კვარაცხელიაზე, გიორგი მამარდაშვილსა და გიორგი მიქაუტაძეზეა. მეტიც, სამივე ფეხბურთელის შეძენის მსურველებმა კლუბებს უკვე ოფიციალურად მიმართეს და მოლაპარაკებებიც დაწყებულია. კვარაცხელიათი დავიწყოთ.

„ნაპოლის“ შემტევის შეძენის სურვილი ფრანგულ „პარი სენ ჟერმენს“ აქვს. ფრანგებს კვარაცხელია მადრიდის „რეალში“ წასული კილიან მბაპეს შემცვლელად სურთ და მზად არიან, მის სანაცვლოდ, 100 მილიონი ევრო გადაიხადონ. როგორც ფრანგული მედია იუწყება, იტალიელთა ჭირვეული პრეზიდენტი თანხის გაზრდას შეეცდება, რამაც შესაძლოა ტრანსფერის განხორციელებაშეაფერხოს, რეალურად კი, აურელიო დე ლაურენტისი იმას შეეცდება, ხვიჩა ევროპის ჩემპიონატამდე არ გაყიდოს და თუ კონტინენტის პირველობაზე კვარა კარგად ითამაშებს, მისი ფასი აუცილებლად მოიმატებს.

ინგლისური „ნიუკასლი“ მზად არის, გიორგი მამარდაშვილის სანაცვლოდ, 40 მილიონი ევრო გადაიხადოს. „ვალენსიას“ კიპერის გადაბირება მადრიდის „ატლეტიკოსაც“ სურს, მაგრამ ესპანელები ამხელა თანხის გადახდას არ აპირებენ. მოლაპარაკებები ჩვენს მეკარესთან დაკავშირებითაც დაწყებულია და 40 მილიონი ის თანხაა, რომელზეც „ვალენსია“ უარს, უბრალოდ, ვერ იტყვის.

გიორგი მიქაუტაძის შეძენა კი, ფრანგულ „მონაკოს“ სურს და თუ მხარეები შეთანხმდებიან, ჟორჟი მომავალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს. მოგეხსენებათ, მიქაუტაძე „აიაქსის“ კუთვნილებაა, ამსტერდამელებს მისი შეძენა 16 მილიონი ევრო დაუჯდათ და ახლა მზად არიან, მას 15-20 მილიონის ფარგლებში შეელიონ. ამ თანხის გადახდა „მონაკოს“ აშკარად არ გაუჭირდება.

რონალდუს წინააღმდეგ ანუ პორტუგალიამ შემადგენლობა დაასახელა

მოგეხსენებათ, საქართველოს როვნული ნაკრები, ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში პორტუგალიასთან, თურქეთთან და ჩეხეთთან ერთად არის. ყველაზე სახელიანი და საშიში მეტოქე პორტუგალიაა, რომლის უპირობო ლიდერი და ცოცხალი ლეგენდა, კრიშტიანუ რონალდუ თავის ბოლო ევროპირველობას თამაშობს. პორტუგალიელთა თავკაცმა, რობერტო მარტინესმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც გერმანიაში გაემგზავრება და ჟურნალისტებმა უკვე თქვეს, რომ საქართველო-პორტუგალიის შეხვედრაში, რომელიც 26 ივნისს, გელზენკირხენში გაიმართება, ყველაზე საინტერესო ორი შვიდიანის – ხვიჩა კვარაცხელიასა და კრიშტიანუ რონალდუს დაპირისპირება იქნება.

მეკარეები: დიოგო კოშტა („პორტუ“), ჟოზე სა („ვულვზი“, ინგლისი), რუი პატრისიუ („რომა“, იტალია);

მცველები: ანტონია სილვა („ბენფიკა“), დანილუ პერეირა, ნუნუ მენდეში (ორივე „პსჟ“, საფრანგეთი), დიოგო დალო („მანჩესტერი“, ინგლისი), გონსალო ინასიო („სპორტინგი“), ჟოაო კანსელო („ბარსელონა“, ესპანეთი), ნელსონ სემედუ („ვულვზი“, ინგლისი), პეპე („პორტუ“), რუბენ დიაში („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი);

ნახევარმცველები: ბრუნო ფერნანდეში („მანჩესტერი“, ინგლისი) ჟოა ნევეში („ბენფიკა“), ჟოაო პილინია („ფულემი“, ინგლისი), ორავიო მონტეირი („ალ ნასრი“, საუდის არაბეთი), რუბენ ნევეში („ალ ჰილალი“, საუდის არაბეთი), ვიტინია („პსჟ“, საფრანგეთი);

თავდამსხმელები: ბერნარდო სილვა („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), კრიშტიანუ რონალდუ („ალ ნასრი“, საუდის არაბეთი), დიოგო ჟოტა („ლივერპული“, ინგლისი), ფრანსისკო კონსეისაო (პორტუ“), გონსალო რამუში („პსჟ“, საფრანგეთი), ჟოაო ფელიქსი („ბარსელონა“, ესპანეთი), პედრო ნეტო („ვულვზი“, ინგლისი), რაფაელ ლეაო („მილანი“, იტალია).

გრიგალაშვილი ყველა დროის საუკეთესოთა ათეულში შევიდა

საქართველოს ძიუროისტთა ნაკრებმა აბუ დაბიში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, წარმატებით იასპარეზა. გარდა იმისა, რომ ინდივიდუალურ გამოსვლებში გიორგი სარდალაშვილმა და ტატო გრიგალაშვილმა ოქროს მედლები მოიიპოვეს, გურამ თუშიშვილმა – ვერცხლი, ხოლო ვაჟა მარგველაშვილმა – ბრინჯაო, გუნდურ შეჯიბრშიც არ დავრჩით უმედლოდ და მესამე ადგილი დავიკავეთ.

რა თქმა უნდა, აღსანიშნავია სარდალაშვილის ოქრო, 20 წლის ასაკში, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონია, მაგრამ ახლა, ძიუდოს სამყარო გრიგალაშვილზე საუბრობს. ტატომ ზედიზედ მესამედ მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება (ზედიზედ მეოთხე იქნებოდა, 2021 წლის ფინალი რომ არ წაეგო) და ოლიმპიადაზეც უმთავრეს ფავორიტად მიდის.

მსოფლიო ძიუდოს ფედერაციამ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ქართველი ძიუდოისტი ყველა დროის ათ საუკეთესო ძიუდოისტთა რიგებში შევიდა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონობით, ჯერჯერობით, მეათე ადგილზეა. სხვათა შორის, ამ სიაში კიდევ ერთი ქართველია, თუმცა ჯარჯი ზვიადაურის გრაფის გვერდით ილიას ილიადისი და საბერძნეთი წერია. საუკეთესო ათეული კი ძალიან, ძალიან შთამბეჭდავია:

ტედი რინერი (საფრანგეთი) – 11 ოქრო (+100კგ.);
ნაოია ოგავა (იაპონია) – 4 ოქრო (+95კგ.);
გიფუმი აბე (იაპონია) – 4 ოქრო (-66კგ.);
ნაოჰიშა ტაკატო (იაპონია) – 4 ოქრო (-60კგ.);
დავიდ დუიე (საფრანგეთი) – 4 ოქრო (+95კგ.);
შოზო ფუჯი (იაპონია) – 4 ოქრო (-78 და -80კგ.);
იასუჰირო იამასიტა (იაპონია) – 4 ოქრო (+95კგ.);
ილიას ილიადისი (საბერძნეთი) – 3 ოქრო (-90კგ.);
ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი) – 3 ოქრო (-100 და +100კგ.);
ტატო გრიგალაშვილი (საქართველო) – 3 ოქრო (-81კგ.).

„ბარსამ“ დაადასტურა – ხავი თავისუფალია

კატალონიურმა „ბარსელონამ“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ხავი ერნანდესი გაუშვა. ხმები იმის თაობაზე, რომ ხავი სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებდა, კარგა ხანია დადიოდა, შემდეგ, თავად მწვრთნელმაც თქვა, აუცილებლად წავალო, მაგრამ მერე გადაიფიქრა და მას პირობა მისცეს, რომ მომავალი სეზონისთვის გუნდს გააძლიერებდნენ და ახალ ფეხბურთელებს მოიყვანდნენ, ახლა კი...

„მადლობა ხავის, გაწეული მუშაობისთვის. მან აქ მუშაობის სამწლიან პერიოდში, „ბარსას“ ესპანეთის ჩემპიონატი და თასი მოაგებინა, მაგრამ ახლა სხვა გამოწვევები გვაქვს“, – განაცხადეს კლუბის დირექტორატში.

როგორც ამბობენ, კატალონიურ გრანდს ძალიან მალე გერმანელი სპეციალისტი, ჰანს დიტერ ფლიკი ჩაიბარებს, რომელიც ბოლოს გერმანიის ნაკრებში მუშაობდა, მანამდე კი, მიუნხენის „ბაიერნს“ წვრთნიდა.

ერთხელ ტყეში

ქეთევან კვიტატიანი

დიდ, დაბურულ ტყეებში არის ადგილები, სადაც მზის სხივებიც კი ვერ აღწევენ. აი, როგორ გითხრათ, ხომ არის მეჩხერი ტყეები, გავლა რომ არ გიჭირს, ნათელია და სიცოცხლით სავსე და არსებობს ისეთი დაბურული ტყეც, რომ ვერც ფეხს დაადგამ და ვერც ვერაფერს დაინახავ. არავინ იცის, ტყე არ უშვებს სინათლესა და ცოცხალ არსებას, თუ პირიქით – შეწუხებულია ასეთი იდუმალი ადგილებით.

რატომ?

იმიტომ, რომ იქ თუ ჩიტი ჩამოვარდა, ვერავინ იპოვის, ჩიტი კი არა, თვითმფრინავიც რომ ჩავარდეს, ისიც კი სამუდამოდ დაიკარგება. ცოტა საშიშია, მგონი, არა? ნუ იღელვებთ, ყველაფერი ერთმა პატარა ღამურამ გაარკვია... ის ყველაზე დაბურული ტყის ყველაზე მაღალი ხის კენწეროზე ჩამოჯდა, სულის მოსათქმელად.

ალბათ, გაგიგიათ, რომ ღამურები ძალიან სწრაფად დაფრინავენ და ზოგჯერ დასვენებაც სჭირდებათ. ჰოდა, აქოშინებულმა ღამურამ ხის კენწერომდე მიაღწია და ზედ ფეხებით ჩამოეკიდა. სულაც არ გახლდათ აკრობატი, უბრალოდ, ღამურები ასე ისვენებენ ხოლმე... მეტიც, თავდაყირა ძილიც კი შეუძლიათ. მაგრამ მას იმ ღამით არ ჩასძინებია, უფრო საინტერესო რამეზე ფიქრობდა!

იმაზე, თუ რა ბრწყინავდა დაბურული ტყის შუაგულში, ჩაფრენა ცოტა ეშინოდა. მაინც პატარა ღამურა იყო და... ცდილობდა, შორიდან გაერკვია, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო მანათობელი საგანი. ძალიან მაღლა იყო, არაფერიც არ ჩანდა.

შიში უნდა დაეძლია და როგორმე ჩაფრენილიყო. დაბურული ტყე საშიშად გამოიყურებოდა. პატარა ღამურამ თვალები დახუჭა და სუნთქვაშეკრული დაეშვა ძირს. მანამდე იფრინა, სანამ ბუჩქებს არ შეეხო...

თვალები ნელა გაახილა, გაახილა და რას ხედავს: ერთი ბეწო, სულ პატარა, პაწაწინა ვარსკვლავი ზის დაბურული ტყის ერთ ტოტზე და ტირის.

– „ალბათ, ჩამოვარდა!“ – გაიფიქრა ღამურამ და ვარსკვლავის ცრემლებს თვალი გააყოლა. ჩვეულებრივი ცრემლები არ იყო, ვერცხლის წყალს ჰგავდა, უცნაურად ეღვენთებოდა დაბურული ტყის ხეებზე, ეშხეფებოდა ფოთლებს და პატარა მშვენიერ ფოიერვერკს ქმნიდა.

– ლამაზია! – წამოსცდა ღამურას.

– ვინ არის ლამაზი? – ტირილი შეწყვიტა პატარა ვარსკვლავმა და ოდნავ გაიპრანჭა.

– ვინ კი არა, რა! – შეუსწორა ღამურამ.

– შენი ცრემლები იფრქვევა ლამაზად!

– ჰო, მაგრამ მე ვტირი, მე ცუდ ხასიათზე ვარ და მოწყენილი! – გაიბუტა ვარსკვლავი.

– ხომ შიძლება, ზოგჯერ ლამაზადაც იყო მოწყენილი? – შერიგება სცადა ღამურამ...

– ლამაზად? – ჩაფიქრდა ვარსკვლავი, მერე თითქოს რაღაც გაახსენდა, მთელი ტანით შემოტრიალდა და ხმამაღლა წამოიძახა:

– რა თქმა უნდა, ლამაზად, რადგან მე ვარსკვლავი ვარ და ვერ ვიქნები უშნო. მე სილამაზისთვის, ბრჭყვიალებისა და ნათებისთვის დავიბადე, აი შენ კი... – ცხვირაბზუებით ახედა ვარსკვლავმა ღამურას და წინადადება აღარ დაამთავრა...

– მე კი, რა ახლა... – დაიბნა ღამურა – მე მშვენიერი ბიჭი ვარ, ღამე დავფრინავ და თავდაყირა მძინავს. ვერ ვანათებ, მაგრამ დახმარება შემიძლია. შენნაირებსაც ხომ სჭირდებათ ზოგჯერ დახმარება? – ნიშნისმოგებით ჰკითხა პატარა ვარსკვლავს და თვალი თვალში გაუყარა.

– ჰო, ნუ, როგორ გითხრა?.. – დაიმორცხვა ვარსკვლავმა და სახე მიაბრუნა...

– მე ციდან ჩამოვვარდი და ამ დაბურულ ტყეში გავიჭედე. ვარსკვლავები ხშირად ვვარდებით ხოლმე, მაგრამ მარტივად ვბრუნდებით უკან. მთვარე მთელი ღამე ეძებს თავის ჩამოვარდნილ შვილებს და სხივებით აბრუნებს უკან. თუ ვერ დამინახა და გათენდა, სამუდამოდ ჩავქრები და აღარ ვიარსებებ! – ვარსკვალვი ისევ ატირდა და თავისი ულამაზესი ცრემლები ფოთლებზე დააფრქვია.

– კარგი, მომეჭიდე და მიგიყვან იმ შენს მთვარესთან! – უთხრა ღამურამ და კუდი მიაწოდა.

გახარებულმა ვარსკვლავმა ხელები მაგრად ჩასჭიდა ღამურას გრძელ კუდს და გასაფრენად მოემზადა. მართლაც, მთვარის შუქი მოხვდა თუ არა პატარა ვარსკვლავს, იმ წამსვე ცას მიეწება და ღამურას მადლიერების ნიშნად გაუცინა.

– ნახვამდის, ეცადე, აღარ ჩამოვარდე, ძალიან უხდები ამ ჯმუხ ცას! – გასძახა ჰაერში მოფარფატე ღამურამ.

– მოიცა, არ გაფრინდე! – შეაჩერა ვარსკვლავმა.

– ასეთ დაბურულ ტყეში ვერავინ გადარჩება, ერთ კარგ მკრეჭავს ვიცნობ, უუუშველებელი მაკრატელი აქვს, იპოვე და გააკრეჭინე ტყის ეს ნაწილი.

გაკრეჭილ ტყეში ყოველ ღამე შემეძლება დაშვება და უკან დაბრუნება.

პატარა ღამურა ასეც მოიქცა. მკრეჭავი ადვილად დაარწმუნა, რომ არავის სჭირდებოდა ტყე, რომელშიც მხოლოდ ჩავარდნა შეიძლება... ვერც შეხვალ და ვერც გამოხვალ... მკრეჭავმაც კრიჭა და კრიჭა ფოთლები. ერთი კვირა არ დაუსვენია.

ჰოდა, ისე გაალამაზა და ისეთი მოსახერხებელი გახადა დაბურული ტყე, რომ ცხოველებიან-ფრინველებიანად, ლამის, ყველამ იქ მოისურვა ბინის დადება. ასე გახალისდა და გაცოცხლდა ეს ადგილი. სხვათა შორის, იქვე გაიხსნა ჩამოცვენილი ნივთების ძალიან საინტერესო მუზეუმიც...

პატარა ვარსკვლავი, პატარა ღამურასთან ერთად, ხშირად დადის დაბურული ტყის მუზეუმის დასათვალიერებლად და უხარია, რომ ამ ადგილიდან აფრენილი ერთადერთი ექსპონატია.



საფოსტო მარკა ბაგეტის სურნელით

საფრანგეთის ფოსტამ არომატიზებული მარკა გამოუშვა, რომელსაც ახლადგამომცხვარი ბაგეტის სურნელი აქვს. ასე გადაწყვიტეს ქვეყანაში პატივი მიეგოთ სახელგანთქმული ფრანგული პურისთვის. ახალ მარკაზე ბაგეტია გამოსახული, რომელიც საფრანგეთის დროშისფერი ბაფთით არის შემკული. პურის სურნელის შესაგრძნობად მარკა უნდა გადახეხოთ. საფრანგეთის ფოსტამ ასეთი 594 ათასი მარკა გამოუშვა, თითოეულის ღირებულება კი 1.96 ევროა.

ამომრჩევლებს უფასო ლუდს პირდებიან

ამ წარმოუდგენელი გულუხვობის დემონსტრირებას ორგანიზატორები, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთ საარჩევნო უბანზე აპირებენ, რომელიც ქალაქ დუისბურგში მდებარეობს და სადაც ადგილობრივებს თითქმის ყოველთვის „ფეხებზე ჰკიდიათ“ არჩევნები. ამჯერად, უბნებზე მათ „მიტყუებას“ უფასო ქარვისფერი სასმელით შეეცდებიან. როგორც ცნობილია, ივნისის დასაწყისში, მთელ ევროპაში არჩევნები გაიმართება და ევროპარლანეტის ახალ შემადგენლობას აირჩევენ. დუისბურგში მდებარე ერთ-ერთი საარჩევნო უბანი ადგილობრივი ლუდსახარშის – König Pilsener-ის პაბის ტერიტორიაზე მდებარეობს. ყოველი მოქალაქე, რომელიც ამ უბანზე მისცემს ხმას, უალკოჰოლო ლუდს უფასოდ მიიღებს. საწარმოს მეთაურის თქმით, ეს სასმელი გემოთი არაფრით ჩამოუვარდება გრადუსიან ლუდს. „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი აქციები, რომ ადამიანები ხმის მისაცემად მოვიზიდოთ“, – განაცხადა ქალაქის ადმინისტრაციის მეთაურმა.

მეხსიერების ბარათი 200 წლის გარანტიით



გერმანულმა კომპანიამ Machdyne, ეგრეთ წოდებული, „ფლეშკა“ გამოუშვა, რომელსაც მონაცემთა შენახვა 200 წლის განმავლობაში შეუძლია. მონაცემთა შემნახველს სულ 8 კილობაიტის დატევა შეუძლია – ეს ტექსტის დაახლოებით 8 000 სიმბოლოა. „ფლეშკის“ ავტორები აცხადებენ, რომ ის პაროლების, კრიპტოვალუტის გასაღების, სიის ან მოკლე ჩანაწერებისთვის გამოდგება. ამ მეხსიერების ბარათს ორი საუკუნის გარანტია აქვს იმ პირობით, რომ გარემო ტემპერატურა +35 გრადუსს არ გადააჭარბებს. ინტერფეის USB-CDC-ს არ სჭირდება დამატებითი დრაივერები. მისი შემქმნელები გვპირდებიან, რომ მონაცემების აღდგენა შესაძლებელი იქნება, თუკი მისი სისტემა მწყობრიდან გამოვა.

კატა – მეცნიერებათა დოქტორი

აშშ-ის ვერმონტის ამერიკულმა უნივერსიტეტმა მეცნიერებათა დოქტორის საპატიო ხარისხი მიანიჭა ადგილობრივი კამპუსის ოთხფეხა მცხოვრებს. მეტად მეგობრული ჭრელი კატა, სახელად მაქსი, რამდენიმე სემესტრის განმავლობაში დაბოდიალობდა უნივერსიტეტის დერეფნებში და სტუდენტებისა და ლექტორების საყვარელ მეგობრად იქცა. მაქსი პატარა კნუტი იყო, როცა ხუთი წლის წინ, პირველად გამოჩნდა სასწავლებლის ტერიტორიაზე და მას შემდეგ არსად წასულა. მან იქ ოჯახი იპოვა – მას ყველა იცნობს, ყველა ეფერება და მასთან „სელფებს“ იღებს. ამიტომ გადაწყვიტეს, მაქსისთვის საპატიო დოქტორის ხარისხი მიენიჭებინათ.

პატარა ჯიხური „მიშლენის“ მფლობელი გახდა

მექსიკის დედაქალაქში მდებარე პატარა ჯიხური, სადაც ტაკოს ამზადებენ, „მიშლენის“ ვარსკვლავის მფლობელი გახდა – კომპანიის პირველ მექსიკურ გზამკვლევში. ტაკოს ჯიხური, რომელსაც El Califa de León ჰქვია, მეხიკოში, სან-რაფაელის რაიონში, 50 წლის წინ გაჩნდა. ამ პაწაწუნა დაწესებულებაში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ეტევა, ამიტომ შეკვეთებს, ჩვეულებრივ, სარკმლიდან იღებენ. ჯიხურის მენიუში, რომელიც სულ ოთხი კერძისგან შედგება, „მიშლენის“ რეიტინგის შემდგენლების თქმით, მთავარი „მარგალიტია“ ტაკო, რომელიც 5 დოლარად იყიდება. მზარეული არტურო მარტინესი ამბობს, რომ მისი ტაკერიის წარმატების მიზეზი მათი საკვების სიმარტივეშია. „ტორტილია, წითელი, ან მწვანე სოუსი და ხარისხიანი ხორცი. აი, სულ ეს არის“, – აცხადებს მარტინესი.

უსაქმურობის კონკურსი ორი სამსახურის მქონემ მოიგო

სამხრეთ კორეამ კვლავ გააკვირვა მსოფლიო უჩვეულო ღონისძიებით: კონკურსით, სადაც გამარჯვებულს ყველაზე უკეთ გამოსდის არაფრის კეთება. ამ შეჯიბრში, რომელიც წელს საიუბილეო – მეათე იყო, 117 ადამიანი მონაწილეობდა. სეულის ცენტრში, იოგას ხალიჩებზე წყნარად ისხდნენ კონკურსის მონაწილეები. 90 წუთის განმავლობაში, მათ არც ლაპარაკის, არც ჩათვლემის, არც ტელეფონში ჩახედვის უფლება ჰქონდათ. ეს განსაკუთრებული გამოცდა არა მხოლოდ ფიზიკურ ძალისხმევას, არამედ – შინაგან სიმშვიდესაც ითხოვს. „მშვიდი გამოწვევა“ – ასე ჰქვია კონკურსს. მისი მიზანია, ადამიანები ყოველდღიური საზრუნავისა და სტრესისგან გაათავისუფლონ. მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი – იჯდე და აბსოლუტურად არაფერი აკეთო. წელს ეს „საქმე“ ყველაზე კარგად გამოუვიდა 35 წლის ქალს, კვონ სო-ას, რომელიც ორ სამსახურში მუშაობს. მისი გამარჯვება იმის სიმბოლოა, რომ თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ყოველი წამი საქმით არის დატვირთული, დასვენება და არაფრის კეთება ისეთივე მნიშვნელოვანი და ფასეულია, როგორც შრომა. „ეს კონკურსი სასარგებლოა, როგორც ფსიქიკური, ისე ფიზიკური ჯანმრთელობისთვის, რადგან ჩვენს სხეულს დასვენება სჭირდება. ის კი მხოლოდ მაშინ ისვენებს, როცა ტვინიც დასვენებულია“, – განაცხადა გამარჯვებულმა.

მარილს კოვზი ჩაანაცვლებს

იაპონელი მწარმოებლები ელექტრული კოვზის გამოშვებას იწყებენ, რომელიც, როგორც მკვლევარები ირწმუნებიან, ხელს შეუწყობს ჯანსაღ კვებას. კოვზი საკვებს მარილიან გემოს აძლევს, მისი დამატების გარეშე. Reuters-ის ცნობით, თავის დროზე, ეს ტექნოლოგია Ig Nobel-ის პრემიის მფლობელი გახდა, რომელიც ავტორებს უჩვეულო და უცნაური კვლევებისთვის ენიჭებათ. მწარმოებლების თქმით, სულ მალე, ინტერნეტის მეშვეობით, 200 ცალი ელექტრული კოვზი გამოვა გასაყიდად, თითოეულის ფასი კი 127 დოლარი იქნება. მომავალში მისი წარმოება გაიზრდება და მწარმოებლებიც იმედოვნებენ, რომ ამ სუპერ-კოვზის მომხმარებელთა რიცხვიც 5 მილიონამდე გაიზრდება.

ვაქცინაციამ მილიონობით ადამიანი იხსნა

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების თანახმად გაირკვა, რომ მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, 1974 წელს, იმუნიზაციის გაფართოებული პროგრამა აამოქმედა, ვაქცინაციამ 154 მილიონი ადამიანი სიცოცხლე გადაარჩინა. პროგრამის მიზანი იყო, ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის. შედეგიც სახეზეა – ამ 154 მილიონიდან, უმეტესობა 5 წლამდე ბავშვია. კვლევებით გაირკვა, რომ ვაქცინაციის საერთო სარგებლის 60%-ზე მეტი „წითელას“ აცრებზეა. საბოლოოდ, გამოდის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის ვაქცინაციით, არავაქცინირებულებსაც ვიცავთ. თუ აცრების რაოდენობა მკვეთრად შეცირდება, დიდია დაავადებების აფეთქების რისკებიც. ასეთი სიტუაცია იყო, მაგალითად, აშშ-ში, როცა 2021 წელს, „წითელას“ ვაქცინით რეკორდულად დიდი რაოდენობის ბავშვი არ აიცრა, რამაც შემდგომში ქვეყნაში ამ დაავადების აფეთქება გამოიწვია. გარდა ამისა, არ წყდება ვაქცინების გაუმჯობესებაზე მუშაობა. აცრებმა რამდენიმე საშიში დაავადება სრულად გააქრო. ახლა მას უკვე სიმსივნის წინააღმდეგაც სცდიან.

მესის პირველი კონტრაქტი რეკორდულ ფასად გაიყიდა



დიდ ბრიტანეთში ხელსახოცი რეკორდულ ფასად – 965 ათას დოლარად გაიყიდა. მიზეზი კი ის იყო, რომ ამ ხელსახოცზე არგენტინელი ფეხბურთელის, ლიონელ მესის პირველი კონტრაქტი იყო აღბეჭდილი, ესპანურ კლუბ „ბარსელონასთან“. ხელსახოცის მყიდველის ვინაობა არ გახმაურებულა. ლოტის აღწერაში ნათქვამია, რომ გარიგება 2000 წელს შედგა, როცა სპორტსმენი სულ რაღაც 13 წლის იყო. მოგვიანებით მხარეებმა გააფორმეს და ხელი მოაწერეს ოფიციალურ კონტრაქტს.

გასახდომი პრეპარატი წარმატებული აღმოჩნდა

ექსპერიმენტულმა პრეპარატმა, რომელსაც ჭარბწონიან ადამიანებზე კლინიკურად სცდიდნენ, მონაწილეებში წონის რეკორდული კლება აჩვენა. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Eli Lilly and Company (Lilly)-ის შექმნილი Tirzepatide, წონაში კლებას ხელს უწყობს ბუნებრივი ჰორმონების – ინკრეტინების ეფექტების მიბაძვის მეშვეობით. ეს ჰორმონები ჭამის შემდეგ, სისხლში შაქრის დონეს ამცირებენ და მეტაბოლურ პროცესებს არეგულირებენ. ახალი პრეპარატი, რომელიც ბაზარზე ჯერ ხელმისაწდომი არ არის, ორი კონკრეტული ინკრეტინის სინთეტიკურ კომბინაციას წარმოადგენს. კლინიკური ცდების მესამე ფაზაში 2 500-ზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა. ისინი ან მსუქნები იყვნენ, ან – ჭარბწონიანები. 72 კვირის განმავლობაში, მათ ნაწილს Tirzepatide-ს აძლევდნენ, ნაწილს – პლაცებოს. კვლევის მსვლელობისას, მოხალისეებში, ვინც ახალ პრეპარატს იღებდნენ, დაფიქსირდა წონაში კლების მნიშვნელოვანი დონე (ყველაზე მეტი, 24 კილოგრამი).

შვილს უშვილობის გამო უჩივიან

ინდოეთში მცხოვრები წყვილი საკუთარ შვილსა და რძალს იმის გამო უჩივის, რომ ისინი შვილიშვილს არ უჩენენ. ცოლ-ქმარი პრადეშები ამბობენ, რომ მათ მთელი დანაზოგი ერთადერთი შვილის აღზრდისთვის გამოიყენეს – მისცეს კარგი განათლება, მდიდრული ქორწილიც გადაუხადეს და თუ ერთი წლის განმავლობაში, შვილიშვილი არ დაიბადება, მშობლები შვილისგან, კომპენსაციის სახით, 650 ათას დოლარს ითხოვენ. შვილი და რძალი მედიასთან კომენტარს არ აკეთებენ. გამწარებული მამა კი ამბობს, რომ უამრავი ფული დახარჯა, ბიჭი სასწავლებლად ამერიკაში რომ გაეშვა, სადაც ის მფრინავის პროფესიას დაეუფლა. ვაჟი ინდოეთში 2007 წელს დაბრუნდა, მაგრამ ორი წელი სამსახურს ვერ შოულობდა და ისევ მშობლები არჩენდნენ. ის 2016 წელს დაქორწინდა – ქორწილი ხუთვარსკვლავიან სასტუმროში აღნიშნეს და თაფლობისთვის გასატარებლად წყვილი უცხოეთშიც გაუშვეს. ამ ყველაფერში 80 ათასი დოლარი დახარჯეს. ქორწინებიდან ექვსი წლის შემდეგაც, შვილი და რძალი ბავშვს არ აჩენენ, – ამბობენ განაწყენებული და შვილიშვილზე მეოცნებე მშობლები. ადვოკატის თქმით, ისინი შვილს „მენტალური შევიწროების საფუძველზე“ უჩივიან.

მკვეთრი შუქით დეპრესიას კურნავენ

აშშ-ის პიტსბურგის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა იმის მტკიცებულებას მიაგნო, რომ მკვეთრი შუქის თერაპია არ მარტო სეზონურ დეპრესიას შველის, არამედ, სერიოზულ ფსიქიკურ აშლილობებსაც კურნავს. კვლევის დროს მედიკოსები პაციენტებს სპეციალურ სანათებს აძლევდნენ, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე 15, 30 ან 45 წუთით ენთო. ექსპერიმენტს 9 ავადმყოფის პალატაში ატარებდნენ. ოთხ მათგანს სინათლეს დილით უნთებდნენ, დანარჩენებს კი – შუადღეზე. გამოკვლევების შედეგად, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მკვეთრი შუქით თერაპია შედარებით უფრო სასიკეთო დღის საათებში იყო, ხანგრძლივობა კი დაახლოებით 15 წუთი. ექსპერიმენტისას სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ შუქის თერაპია არა მარტო ზამთრის დეპრესიას შველის, არამედ, სერიოზულ ფსიქიკურ დაავადებებსაც. მათ დაამტკიცეს, რომ ბიოპოლარულ აფექტურ აშლილობას, რომელსაც ადრე მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს უწოდებდნენ, სჯობს, ასევე მკვეთრი შუქის დახმარებით უმკურნალონ.

ხშირი კოცნა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ადამიანები, რომლებიც ყოველდღე კოცნიან, 12 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, ვისაც ეს პროცესი არ უყვარს. მედიკოსების განცხადებით, კოცნა აწყნარებს ნერვულ სისტემას და თავიდან გვაშორებს სტრესს. ამასთან, საკმარისია მხოლოდ ერთი კოცნა, რომ ორგანიზმში გამოიყოს ბედნიერების ჰორმონის – ენდორფინის დამამშვიდებელი პორცია. ერთი ვნებიანი ამბორი კი 12 კილოკალორიას წვავს, ხოლო თუ კოცნა ერთი წუთი მაინც გრძელდება, ეს დაახლოებით 500 მეტრის გარბენას უდრის. სპეციალისტების თქმით, კოცნა საჭიროა, რათა ორგანიზმის საერთო ტონუსი ნორმაში იყოს. მათი განცხადებით, ხანმოკლე კოცნა გულის კუმშვის სიხშირეს ზრდის, რაც საშუალებას იძლევა სისხლი სწრაფად ამოძრავდეს, უჯრედები მეტ ჟანგბადს მიიღებენ. ასევე მცირდება სისხლში ქოლესტერინის დონე, რაც სიმსივნის განვითარებისგან დაგვიცავს. კოცნას რეკომენდაციას უწევენ ამერიკელი სტომატოლოგებიც – კალციუმისა და ფოსფორის ნაერთების შემცველი ნერწყვის ძლიერად გამოყოფა კბილებს კარიესისგან იცავს. იაპონელი მედიკოსები კი აცხადებენ, რომ კოცნა ალერგიისგანაც გვიცავს. მათი თქმით, ამ დროს არსებითად იზრდება სისხლში ალერგენებთან მებრძოლი ანტისხეულების რაოდენობა.

ჩაი აპოკალიფსისთვის

კრეატიულმა სააგენტომ მადრიდიდან – Niiiiice, ირონიული სარეკლამო კამპანია წამოიწყო ჩაისთვის – The End, რომელიც სამყაროს დასასრულს „სიამოვნებით“ შეგვახვედრებს. კლიენტებს ბალახეულებზე დამზადებულ კომპოზიციებს სთავაზობენ, მომზადებულნი რომ შეხვდნენ მეტეორიტის შეჯახებას, მასშტაბურ ხანძრებს, ცუნამს, ვირუსებს, ბირთვულ ომსა და ამებებს, რომლებიც ტვინს ჭამენ. „დატკბით გარდაუვალით“ – ასე ჟღერს ამ კამპანიის ლოზუნგი. ჩაის ხაზში ყველაზე აქტუალური Pandemic Chill-ის მიქსია, რომელიც „ლომონისა და კოჭას ჰარმონიული შერწყმაა“ და კორონავირუსის პანდემიას უკავშირდება. ასორტიმენტშია, ასევე, Meteor Calm – კატაბალახით და გვირილით, Nuclear Detox – ვანილითა და დარიჩინით, Peace Invasion – ლავანდითა და ჰიბისკუსით და Mint Wildfire – პიტნითა და როზმარინით, რომელსაც დამამშვიდებელი მოქმედება აქვს. ახალი ბირთვული ომი, კლიმატის ცვლილება, ცუნამი და ტვინისმჭამელი ამებებიც სიამოვნებად მოგეჩვენებათ, თუკი ხელში ცხელი ჩაის ფინჯანი გიჭირავთ, – დარწმუნებულნი არიან კომპანიის წარმომადგენლები.

ძილის წინ ყველი მიირთვით

კომპანია Emma Sleep-ის წარმომადგენლები გვირჩევენ, ყველი ძილის წინ მივირთვათ. მიზეზი ის არის, რომ ეს პროდუქტი შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ხელს უწყობს კარგ ძილს. ეს ტრიპტოფანია – ბიოქიმიური ნივთიერება, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი არ გამოიმუშავებს. ის მელატონინის „წინამორბედია“, იმ ჰორმონისა, რომელსაც ძილის ციკლის შეცვლა შეუძლია. თუმცა, ძილის წინ, ყველის მირთმევისას, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ – ის უნდა ჭამოთ არა უშუალოდ ძილის წინ, არამედ მანამდე, ორი-სამი საათით ადრე. სპეციალისტები გვიხსნიან, რომ ეს დრო საჭიროა, რათა ორგანიზმმა სწორად გადაამუშაოს მიღებული საკვები.

სამკურნალო მანიკიური ონკოპაციენტებისთვის

ვინ იფიქრებდა, რომ სიმსივნით დაავადებული ადამიანები, ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ჩვეულებრივი ბალზამის წყალობით, მნიშვნელოვნად შეიმუსბუქებდნენ ცხოვრებას. ასეთ ბალზამში არსებული ნატურალური ზეთებისა და მცენარეული ექსტრაქტების წყალობით, შესაძლებელი ხდება ქიმიოთერაპიის შემდგომ ზოგიერთი გართულება შეიმსუბუქონ. ამ სპეციალური ფორმულის საფუძველი, რომელიც კლინიკა Addembrooke's Hospiral-ის სპეციალისტებმა შეიმუშავეს, სამკურნალო ზეთები და მცენარეებია. ქიმიოთერაპიას ხშირად ისეთი არასასურველი შედეგები მოსდევს, როგორიცაა თმის ცვენა, ფრჩხილების აძრობა და ზოგჯერ მათ ადგილას ჩირქოვანი წყლულების გაჩენა, რასაც თან უსიამოვნო სუნი სდევს. ასეთ პაციენტებს სირთულეები ექმნებათ ელემენტარული ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაშიც. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ასეთ ავადმყოფებს შეუძლიათ, ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ბალზამი გამოიყენონ, რომლის რეცეპტიც თავად მოიფიქრეს – მასში შედის ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული ოთხი ზეთი, რომელთა მოქმედებითაც მიიღწევა ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი ეფექტი. სპეციალური ბალზამი ამჟამად გამოცდას გადის 30 პაციენტზე, რომლებიც ქიმიოთერაპიის კურსს იტარებენ.

რა სარგებლობა მოაქვს ბალს?

ცნობილია, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა სეზონური ხილის მირთმევა. უკვე ბლის სეზონი დგება და მოდით, გავიგოთ, რითია სასარგებლო ის ჩვენი ორგანიზმისთვის. ბალში ბევრი კალიუმია, რაც მნიშვნელოვანია ნივთიერებათა ცვლისთვის, ასევე, სითხის ბალანსისთვის ორგანიზმში. ხილში ჭარბადაა რკინა, რაც ანემიასთან გამკლავებაში გვეხმარება. ბალი სასარგებლოა შარდსასქესო სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკისთვის – ის ხელს უწყობს ტოქსინების გამოდევნას. გარდა ამისა, ეს გემრიელი ხილი სასიკეთო გავლენას ახდენს საჭმლის მონელებაზე, ასევე, ხელს უშლის ორგანიზმში სიმსივნური უჯრედების გაჩენას. ბალი დიდი რაოდენობით შეიცავს ბე-ვიტამინსაც, რომლის წყალობითაც ძლიერი ხველის განკურნებაა შესაძლებელი, ასევე, ასთმის შეტევის ჩახშობა. გაითვალისწინეთ, რომ დიდი რაოდენობით ბლის მირთმევა სახიფათოა დიაბეტიანებისთვის – მას შეტევის გამოწვევა შეუძლია. მომატებული მჟავიანობის გამო, ის სიფრთხილით უნდა მიირთვან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების მქონე ადამიანებმა. ჯანმრთელი ადამიანისთვის დღეში 300 გრამი ბალია რეკომენდებული.

კვლევებისთვის უმტკივნეულო ალტერნატივა შექმნეს

შოტლანდიის ჯანდაცვის ეროვნულმა სამსახურმა, დაახლოებით, 2000 პაციენტში, კაფსულაში მოთავსებული უმცირესი კამერა ნაწლავის კიბოს სკრინინგისთვის გამოიყენა. კოლონოსკოპიის ახალ საშუალებას PillCam უწოდეს. ეს მისი გაცილებით სასიამოვნო ალტერნატივაა. მცირე კაფსულა ქამართან ერთად მოქმედებს, რომელსაც პაციენტი წელზე შემოიჭერს და არეგულირებს, ვიდრე კაფსულა საჭმლის გადამამუშავებელ სისტემაში გადაადგილდება. ამ გზაზე PillCam, დაახლოებით, 50 ათას ფოტოს იღებს, წამში ორიდან ექვს კადრამდე სიხშირით. გამოსახულება კი ჩამწერ მოწყობილობას გადაეცემა, რომელიც პაციენტის წელზეა შემოჭერილი. მას შემდეგ, რაც კაფსულა დაასრულებს „მოგზაურობას“, მიღებულ კადრებს სპეციალისტები აანალიზებენ. PillCam ერთჯერადი მოწყობილობაა, სამაგიეროდ, პროცედურა უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, თუმცა მისთვისაც ისეთივე მომზადებაა საჭირო, როგორც ჩვეულებრივი კოლონოსკოპიისთვის.

მარილიანი საკვები სტრესს მოგიხსნით

ნატრიუმი, რომელსაც მარილიანი საკვები შეიცავს, ჰორმონ ანგიოტეზინს ახშობს, რომელიც შფოთვას უკავშირდება. ამერიკელი სწავლულები ცინცინატის უნივერსიტეტიდან, საკუთარი კვლევების საფუძველზე ამტკიცებენ, რომ მარილიანი კერძები ადამიანს სტრესის დაძლევაში ეხმარება. მათი თქმით, ასეთ საკვებში ნატრიუმი ახშობს ანგიოტეზინს და ხელს უწყობს ჰორმონ ოქსიტოცინის გამომუშავებას, რომელიც ორგანმიზმზე დამამშვიდებლად მოქმედებს და მთლიანობაში, ადამიანის მდგომარეობა ჰარმონიული ხდება. მართალია, კვლევა ლაბორატორიულ თაგვებზე მიმდინარეობდა, მაგრამ სწავლულები ირწმუნებიან, რომ ეს პროცესები ადამიანშიც ანალოგიურად მიმდინარეობს.

საფენები სწრაფი ანალიზისთვის

ჩინელმა სწავლულებმა სპეციალური დრეკადი გადამცემები შექმნეს შარდის ანალიზისთვის და ისინი საფენებში მოათავსეს. მოწყობილობას მონაცემების გადაცემა დისტანციურად შეუძლია. როგორც სიახლის ავტორები აცხადებენ, ექიმებს აქამდე არ ჰქონდათ პაციენტის შარდში მნიშვნელოვანი ნივთიერებების კონცენტრაციაზე დაკვირვების მოსახერხებელი და სწრაფი საშუალება. ახლა კი მათ შეუძლიათ, სწრაფად შეაფასონ ანალიზები ხანდაზმულებსა და ჩვილებში. „ჭკვიანი საფენები“ თირკმელებისა და შარდის ბუშტის ინფექციის, დიაბეტის დროს დარღვევების, ელექტროლიტების უკმარისობის და სხვა საშიში მდგომარეობის დროულად გამოვლენის საშუალებას იძლევა. ექსპერიმენტებით გაირკვა, რომ საფენში არსებული მცირე ზომის გადამცემი ისეთივე ზუსტ შედეგებს იძლევა, როგორც ლაბორატორიული კვლევა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.